საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 25 თებერვალი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15×3 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნისიად განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 44 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 44

გულ დათუთქული მშობლები: ვლადიმერი და ოლღა, და თამარი პაპავა, დიდი და ბიძა ნატალია და ვლადიმერი კანდელაკები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავ ნაცნობ მეგობრებს მათი უსაყვარლესი

ნ ი ნ ი კ ო ს

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ოთხშაბათს, 25 თებერვალს დღის 3 საათზე, ქ. თფილისი, ვ. კანდელაკის ბინა, ჩუბინაშვილის ქუჩა, რევოლუციის მოედანი. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (656 2—2)

ალექსანდრე და არსენ ლომთათიძეები, ოჯახითურთ, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ 25 თებერვალს, დღის 12 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი დედის

ელისაბედ ლომთათიძის

სულის მოსახსენებლად. (ფ. 2—2)

თავზარდაცემული და გულდათუთქული მშობლები: ნოე და მაშო, პაწია დები: ქეთო და თინია ჯიბლაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი: საყვარელ შვილის, ხოლო მეორენი პატარა ძმის ბილანიშვილის სახელობის გიმნაზიის მოწაფის

ზ ი ნ ო ვ ი ს

უდროოდ დაკარგვას, დაკრძალვა ხუთშაბათს 26 თებერვალს (გურია) სოფელ ამაღლებაში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში. (66 2—1)

დიდათ დამწუხრებული ბებია ბაბუსი ჯღენტის ასული, შვილი მისი ილიკო ჯიბლაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი დაუვიწყარ შვილი შვილის, ხოლო მეორე ძვირფას ძმის შვილის

ზ ი ნ ო ვ ი ს

უდროოდ დაკარგვას, დაკრძალვა ხუთშაბათს, 26 თებერვალს სოფ. ამაღლებაში (გურია) იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში. (660 2—1)

ქუთაისის ოლქის სასამართლოს შემადგენლობა გულითადი მწუხარებით აუწყებს ნაცნობებს და მეგობრებს დაუვიწყარ ამხანაგის საგანგებო საქმეთა გამომძიებლის

ნესტორ დავითის ძე ჩიქოვანის

გარდაცვალებას. (ფ. 1—1)

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ნატალია, შვილები: ლიუდმილა, მარგარიტა, თამარი და ელენე, სიდედრი ნინო გიორგის ასული პაპკორიასი, ამხანაგები: თენგიზ სტეფანეს ძე კორტავა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ოც თებერვალს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კონსტანტინე ალექსის ძე შენგელაია

დაკრძალვა მოხდება შაბათს ოცდარვა თებერვალს დღის ორ საათზე, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. (ფ 1—1)

ორშაბათს, თებერვლის 23, ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ უეცრად გარდაიცვალა

გიორგი ადამის ძე კაცაშვილი

რასაც ღრმად დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მისი დები: მარიამ ელიოზიშვილისა, ეკატერინე ჯაფარიშვილისა, ელენე სამადაშვილისა, სოფიო და ალექსანდრა, სიძეები: სოლომონ სამადაშვილი, ივანე ქამუტაშვილი, დისწულები თამარა ზურაბიშვილისა, ოლღა ქამუტაშვილისა, ალექსანდრა და შალვა ელიოზიშვილები. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 ნახევარ საათზე, დაკრძალვა კვირას, 29 თებერვალს, დილის 10 საათზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. არაგვის ქუჩა 13. (665—1—1)

მეორე ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭო

აცხადებს, რომ კვირას, 29 თებერვალს დილის 10 საათზე დანიშნულია კლუბის წევრთა

წლიური საზოგადო კრება

განსახილველი საგნები: 1) საბჭოს მოხსენება წლის მოქმედებისა, 2) წლიური ანგარიში, 3 მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 4) ურთიერთობის დამხმარე კასის ინსტრუქცია და სხვა მიმდინარე საკითხები, 5) არჩევნები: მამასახლისებისა, სარევიზიო კომისიისა, კლუბის წევრთა და კანდიდატთა. (ნ. 1—1)

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აუწყებს საზოგადოებას და ყველა დაინტერესებულ პირთ, რომ 29 თებერვალს 1920 წელს დილის 11 საათზე ქ. თფილისში, ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიხსნება

საქართველოს მეაბრეშუმეთა ყრილობა

დასწრება შეუძლია ყველა მეაბრეშუმეს. ერობები, ქალაქის გამგეობანი, საკრედიტო და სხვა. საზოგადოებრივი და კოოპერატიული დაწესებულებანი გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს. აგრონომთა დასწრება თავისუფალია. რაიონებიდან და ადგილებიდან მოხსენებანი წარმოადგენონ მოკლედ და გარკვევით სავალდებულოდ. წინასწარი ჩაწერა და ცნობების მიღება შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტის მდივანთან გრიბოედოვის ქუჩა № 2. ტელ. 6—43. თფილისი. (640—2—2)



პოეტის გალაკტიონ ტაბიძის საღამო

სახელმწიფო თეატრში

ოთხშაბათს, 3 მარტს

ივანე გომართელი

წაიკითხავს სიტყვას გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ.

პოეტები, მწერლები:

აბაშელი საშა
ბარნოვი ვასილი
გრიშაშვილი იოსებ
დადიანი შალვა
დადიანი შოთა
ინგოროყვა პავლე
მაყაშვილი კოტე

მეგრელი დუტუ
რუაძე ვარლამ
რამიშვილი ტრიფონ
ტაბიძე გალაკტიონ
შარაშიძე შალვა
შიუკაშვილი ნიკო
ქუჩიშვილი გიორგი

წაიკითხავენ ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს.

ალეკო

ოპერა ერთ მოქმედებად, მუსიკა რახმანინოვისა. ვანო სარაჯიშვილის, ალიშკოს, ოვსიანიკოვის, პოლიაევისა და ისეცკის მონაწილეობით. დასდგამს ევლახოვი. დირიჟორობს კორშონი

კავალერიის ბანაკი

ბალეტი 1 მოქმ.

პრიმა-ბალერინა **ბაუერზაქსი**

ბალეტ-მეისტერი **ვაკარეცი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები **იყიდება** სახელმწიფო თეატრის კასაში.

დაწვრილებით პროგრამებში. (ნ. 7—1)

დაიბეჭდა და დაურიგდა აგენტებს

ან. ჟუჟისპირელის მოთხრობა გურიის ახლო წარსულიდან

„ტყის ძმები"

ფასი 40 მან.

ტრიფონ რამიშვილის კომედია სამ მოქმედებათ

„სტუმარ-მასპინძლობა"

ფასი 25 მან.

საწყობი ორივე წიგნებისა წიგნის მაღაზია „განათლებაში" ოლღას ქ. № 6. (ნ. 3—2)

შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდა

წინადადებას აძლევს ყველას, ვისაც ნებისით თუ უნებლიეთ მიღებული აქვთ კუთვნილზე ზედმეტი სახელმწიფო მომარაგების ფონდის სასურსათო ბარათები

დააბრუნონ ეს ბარათები 25 თებერვლამდე

ვინც აღნიშნულ რიცხვამდე არ დააბრუნებს, მათ სრულიად წაერთმევათ უფლება მომარაგების ფონდიდან პროდუქტების მიღებისა, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი და მათი სახელი და გვარი გამოქვეყნდება.

მომარაგების რწმუნებული. (ნ. 4—3)

ექიმი ბ. ი. ოქრომჭედლიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.).

ძველი ისტორია

რუსეთის სამოქალაქო ომში თითქოს ისევ გადატეხა მოხდა. საბჭოთა რუსეთის ჯარი დეკემბრის და იანვრის განმავლობაში ცხვრებივით ერეკებოდა დენიკინის რაზმებს, მედგრათ მოიწევდა წინ და დღეში 25—30 ვერსს აკეთებდა. დენიკინის ჯარებს ყველა უკვე „სულთმობრძავს" უწოდებდა. მისი განადგურება ისე უდავო იყო, რომ მსოფლიო პოლიტიკა ამ განადგურების ანგარიშით შენდებოდა. იანვრის ბოლო რიცხვებში „წითელი არმიის" რაზმები ქ. როსტოვამდის და კავკასიის ჩრდილო საზღვრებს ახლო მდებარე მდინარე მანიჩამდის მოვიდა, მაგრამ აქ უცბათ შეჩერდა და აი ეს ერთი თვეა ამ ხაზს ვეღარ გადმოსცილებია. ყაზახების ლაშქარი, ეტყობა, ძალა მოიკრიბა და შეტევაზედაც კი გადავიდა „წითელ არმიის" წინააღმდეგ. თუმცა საბჭოთა რუსეთის მთავრობა უარყოფს ამ ცნობებს, მაგრამ საზღვარ-გარეთიდან მოსული დეპეშები, „დობროვოლიიდან" მოსული გაზეთები და თვით დენიკინის „ბრძანება"—ყველა დაჟინებით ლაპარაკობს, რომ „უკანასკნელ ბრძოლებში ჩვენმა მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე განიცადა დიდი მარცხი, მისი საუკეთესო ცხენოსანთა რაზმი დამარცხდა, მისი ჯარები სულით დაცემულნი". ყველაფერი ეს შეიძლება გადაჭარბებული იყოს, შეიძლება ბოლშევიკების მარცხი არც ისე დიდი იყოს, როგორც მათ მოწინააღმდეგეებს უნდათ მოეჩვენოთ. მაგრამ თვით ბოლშევიკების „რადიოდან" სჩანს, რომ „წითელ არმიას" მართლაც უკან დაუხევია, ყაზახთა ჯარს ისევ ხელთ უჭირავს მთელი რკინის გზა როსტოვიდან მოყოლებული ნოვოჩერკასკამდის. არის, თუ არა, ეს „გადატეხა" რუსეთის სამოქალაქო ომის მსვლელობაში, ამის შესახებ ჯერ ჯეროვნობით ვერას ვიტყვით; მაგრამ ერთი კი უდავოა. „წითელი არმიის" მედგარი შეტევა შეჩერებულია, საბჭოთა რუსეთის ძლევამოსილი მსვლელობა სამხრეთისაკენ მიაწყდა ყაზახებით დასახლებულ ტერიტორიის კედელს და ჯერ-ჯერობით ვეღარ გადულახავს იგი. ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რით დასრულდება ის საშინელი ბრძოლა, რომელსაც მდინარე მანიჩის ნაპირებზე და როსტოვს ახლო აქვს ადგილი, მაგრამ ყოველ იჭვს გარეშეა, რომ იქ ხდება გამწარებული, სასიკვდილო-სასიცოცხლო ომი, რომ ყაზახების ლაშქარი, რომელიც ორიოლიდან და ხარკოვიდან შეუჩერებლივ გამორბოდა და ვერავითარ ბრძოლის უნარს ვერ იჩენდა, დღეს თავგამოდებით იბრძვის და ერთნაირს გამძლეობასაც კი იჩენს.

და ეს მოსალოდნელიც იყო: ვისაც თავიდანვე უდევნებია თვალყური ამ ტიტანიურ ბრძოლისათვის, შეამჩნევდა მასში ერთნაირ ბუნებრივს წესიერებას, კანონ-შეწონილობას. ამ კანონ შეწონილობის დასანახავათ საკმარისია გავიხსენოთ ამ სამოქალაქო ომის მთავარი მომენტები. მოსკოვში და პეტერბურგში მომხდარ 1917 წ. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს დონ-ის და თერგის ოლქები და ყუბანის ნაწილები. ყაზახობა დაეყრდნო იმ ჯარებს, რომელნიც კორნილოვის აჯანყებიდან იყო ყუბანის სხვა-დასხვა ადგილებში ჩარჩენილი და რომელსაც გენ. ალექსეევი ხელმძღვანელობდა და მათი დახმარებით გარეკეს ბოლშევიკები ყაზახებით დასახლებულ ადგილებიდან. ამ ჯარების გენერლები, „დიდი რუსეთის აღდგენის" იდეით გატაცებულნი, ყაზახების ტერიტორიას სცილდებიან, „წითელ რაზმებს" ჩრდილოეთისკენ მიერეკებიან, იღებენ ხარკოვს, რუსეთის მთელს სამხრეთს და უკვე შიდა გუბერნიებს ემუქრებიან. ბოლშევიკების ლაშქარი, რომელიც ყაზახების ტერიტორიიდან თითქმის უომრად მირბოდა, შიდა გუბერნიებში უეცრად საშინელს ძალას იღებს, ისევ შეტევაზე გადმოდის, ისევ როსტოვამდის ერეკება „მოხალისეთა" ჯარს. როგორც კი ომი ყაზახებით დასახლებულ ტერიტორიაზე გადმოვიდა, „მოხალისეთა" ჯარი ისევ ძალას იკრებს, ისევ შეტევაზე გადადის, ისევ უკან ერეკება „წითელ რაზმებს", ისევ იღებს ხარკოვს, ორიოლს, კურსკს; უკვე ტულაზე მიდის და თვით მოსკოვს ემუქრება. ამავე დროს კოლჩაკის რაზმები ციმბირიდან ვოლგასკენ მოიწევენ, იუდენიჩის ჯარი პეტროგრადის კედლებს მიადგება, ჩრდილოეთიდან არხანგელსკის და ოლონეცის გუბერნიები ინგლისის ჯარებს უჭირავთ ხელში. საბჭოთა რუსეთი ცეცხლის სალტეშია მოქცეული, მას უკვე ანდერძს უგებენ, არსაიდან ხსნა არა სჩანს. მაგრამ მოულოდნელათ იფეთქებს რუსეთის გლეხობაში და მუშებში გასაოცარი აღფრთოვანება, საბჭოთა რუსეთი ხელმეორეთ იკრებს ძალებს, 3—4 თვის განმავლობაში სრულიად სპობს კოლჩაკის და იუდენიჩის არმიებს, დენიკინის ჯარებს 2 000 ვერსის მანძილზე ერეკება, მედგრათ მოიწევს და ანადგურებს მოწინააღმდეგეს. დენიკინის ჯარი დნება შარშანდელ თოვლივით...

მაგრამ დღეს ისევ მოწმენი ვხდებით იმ ამბების, რომელიც უკვე სამჯერ-ოთხჯერ გამეორებულა მათემატიკურის წესიერებით: დღეს დენიკინის დამდნარი ჯარი თითქოს ისევ დგება მკვდრეთით და სასიცოცხლო ძალას იჩენს.

რის მაუწყებელია მთელი ეს ისტორია?

საბჭოთა მთავრობა ებრძვის „მოხალისეთა სახელმწიფოს". ორივე მხარე „მპყრობელი რუსეთის" იდეის მატარებელია. პირველ მხარეს სურს ეს „მპყრობელობა" ველიკოროსიის გლეხთა და მუშათა დიქტატურით განამტკიცოს, მეორეს სურს განამტკიცოს იგი ძველ თავად-აზნაურულ და ბიუროკრატიულ რუსეთის დროშის ქვეშ ყაზახობის დახმარებით. მაგრამ ეს „მპყრობელობითი" იდეა არ არის პოპულარული არც ველიკოროსიის ხალხის მასაში, არც ყაზახობის ფართო წრეებში. როგორც ველიკოროსიის, ისე ყაზახობის ფართო წრეები დღეს მხოლოდ ერთს რამეს არიან მოწადინებულნი—მშვიდობიან ცხოვრებას. საარაკო ომით და შიმშილით ნაწამებ ხალხს ვერ აღფრთოვანებს ვერც „კომუნიზმით", ვერც „დიდ რუსეთის" იდეით. „კომუნისტებსაც" და „დენიკინელებსაც" დიდი ხანია თავიდან მოიშორებდენ როგორც შიდა რუსეთის, ისე სამხრეთ რუსეთის მცხოვრებნი, რომ მათ მოსვენებას აძლევდენ და მათ სიცოცხლეს და სარჩო-საბადებელს არავინ ემუქრებოდეს. სანამ „კომუნისტები" „დენიკინელებს" ურტყამენ სადმე შიდა რუსეთში ან ვოლგის ნაპირას, ყაზახობა არ იჩენს არავითარ „დენიკინურ პატრიოტიზმს", არავითარ მეომრის სახელსაც არ დაჰგიდევს და უკან გამორბის. მაგრამ როგორც კი „წითელი არმია" მოუახლოვდება ყაზახების მიწებს, ყაზახობა ისევ ფეხზე დგება და ისევ დენიკინს უჭერს ხელს.

ამავე სურათს განწყობილებისას ვამჩნევთ ველიკოროსიის მცხოვრებთა: სანამ „წითელ არმიას" დენიკინი სადმე როსტოვს ახლოს ურტყამს, ველიკოროსიის გლეხობა დიქტატურისადმი სრულს გულცივობას იჩენს და არავითარი „კომუნისტური პატრიოტიზმი" არ ატყვევს მას; მაგრამ როგორც კი დენიკინის ჯარი რუსეთის შიდა გუბერნიებს მიუახლოვდება, ველიკოროსიის მცხოვრებთა შორის უცბათ იფეთქებს განსაკუთრებული აღფრთოვანება „კომუნისტური პატრიოტიზმი" ისევ გასავალს ჰპოვებს მათ შორის და საბჭოთა რუსეთის მთავრობა ისევ ძლიერდება.

(ცხადია: ველიკოროსიაში „კომუნიზმს" აძლიერებს დენიკინის რეაქციის შიში.

ყაზახობაში დენიკინს კვებავს „კომუნისტურ" ანარქიის შიში.

როგორც ცეცხლი და ნავთი, ეს ორი ძალა ერთმანეთს სპობს, მაგრამ მასთან ერთად ერთმანეთს აძლიერებს.

ერთიც და მეორეც მალე დაკარგავს რუსეთში ნიადაგს, როგორც კი ბოლოს მოეღება სამოქალაქო ომს და როგორც ველიკოროსიის ხალხს, ისე ყაზახობის სარჩო საბადებელს არსაიდან არ მოელოდება საფრთხე.

დღეს

მოკავშირეთა თათბირი ლონდონში გრძელდება.

ფრანგული პრესის ცნობით ოსმალეთის საკითხი ამგვარად გადასწყდება: სტამბოლი ოსმალეთს დარჩება, მოკავშირე სახელმწიფოების განკარგულებაში იქნება დარდანელი და ბოსფორის სრუტეები, სმირნა საბერძნეთს დარჩება,

ლატვიამ წინადადება მიიღო საბჭოთა რუსეთიდან საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

ბოლშევიკების ცნობით როსტოვის და ნახიჩევანის რაიონში სასტიკი ბრძოლაა.

პრესა

„სლოვო" ბათუმის შესახებ შემდეგს სწერს:

„ვსცნობთ რა, რომ ბათუმის ოლქი აუცილებლათ საჭიროა მხოლოდ ამიერ-კავკასიისათვის, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩრდილოეთიდან მასზე ჩაბღაუჭებას შეძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მიზანი—იყოლიოს ამიერ-კავკასია და საქართველო თავის გავლენის ქვეშ, ან და პირდაპირი უშუალო კონტაქტი დაამყაროს ახალგაზრდა ოსმალთა მოკავშირეებთან და შექმნას ახალი ნიადაგი ბოლშევიკური პროპაგანდისათვის კავკასიონის ქედის აქეთ მხარეში.

„საკითხის საფუძვლიანათ გადაჭრა იქნებოდა ბათუმის და მისი ოლქის საქართველოს რესპუბლიკისათვის გადაცემა, თუ, რასაკვირველია, დაცულ იქნება მთელი ამიერ-კავკასიის საერთაშორისო ინტერესები.

„ბათუმის საკითხის ამგვარათ გადაჭრა განსაკუთრებით მისაღებია სომხეთისათვის, რომელიც თითქმის ყოველ მხრივ ჩაკეტილია და მოწყვეტილია უშუალო ურთიერთობას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან.

„როდესაც საქართველო ბათუმის და მის ოლქის თავისად გახდომის საკითხს გადაჰქცევს ყველა ამიერ-კავკასიის ხალხთა საერთო საქმეთ, როდესაც ამ ხალხთ ექნებათ გარანტია იმისი, რომ მათ შეეძლებათ ყოველთვის თავისუფლათ ისარგებლონ მშვენიერი ბათუმის ნავთსადგურით თავიანთი იმპორტისა და ექსპორტისათვის, და რომ საქართველო არავითარ პირობებში არ გადაჰქცევს ბათუმს ამიერ-კავკასიის დანარჩენ რესპუბლიკებზე პოლიტიკური ძალდატანების მისახდენ იარაღად, მაშინ, რასაკვირველია, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები სიამოვნებით დაუჭერენ მხარს ყველა ნაბიჯს, ბათუმის ოლქის საქართველოს რესპუბლიკაში დარჩენისაკენ მიმართულს.

„ბათუმისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით მხურვალე დამხმარების გაწევა საქართველოსათვის შეუძლია სომხეთს, რომელმაც საკუთარ თავზე განიცადა ახალგაზრდა ოსმალთა იმპერიალისტების ცბიერი პოლიტიკა.

„სომხეთი დიდი ხანია, რაც სამხრეთ დასავლეთიდან საფრთხეს ხედავდა და არა ერთხელ მიუთითებია ამ საფრთხეზე სხვა რესპუბლიკებისათვისაც. ამ ჟამად, შეიძლება, ეს საფრთხე დროებით უკანა რიგში დგას, მაგრამ მისთვის ანგარიშის გაწევა მოუხდება არა მარტო სომხეთს, არამედ საქართველოსაც".

ამ სტრიქონებში ბევრი ისეთი აზრია, რომლის შეგნების გამო დაშნაკცაკანურ პრესის მიერ ჩვენ მხით ვარით სიხარული გამოვხატოთ. ასეთია, მაგ., იმის შეგნება, თუ რა მიზნისათვის სჭირდება ბათუმი „ჩრდილოეთს", ან იმის შეგნება, თუ რას ნიშნავს ბათუმის გადასვლა ოსმალეთის იმპერიალისტების ხელში, მაგრამ ამავე სტრიქონებში ბევრი რამ გაურკვეველია, რამაც შეიძლება ძალიან მავნებელი გაუგებრობა გამოიწვიოს. რას ნიშნავს, მაგალითად, ეს მყობად დროში ხმარებული სიტყვები: „როდესაც ამ ხალხთ ექნებათ იმის გარანტია, რომ..." და სხვ? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თუ საქართველოს მეზობლები ამ გარანტიას წინასწარ არ მიიღებენ, ისინი არ დაეთანხმებიან ბათუმის გადასვლაზე საქართველოს ხელში? მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს „გარანტიები" ხანგრძლივი შინაური მოლაპარაკების შედეგი უნდა იყოს, და ბათუმის საკითხი კი დღესვე ასე დგას სომხეთის წინაშე: „საქართველოს, თუ ოსმალეთის იმპერიალისტებს?" ამაზე გვიპასუხოს „სლოვომ".

მოწოდება

მოქალაქენო!

საშინელ სურათს წარმოადგენს ქართლის შუაგული.

ენით არ გამოითქმის, კალმით არ აიწერება ის უბედურება, რაც ჩვენს ძმებს თავს დაატყდა.

ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს რომ ამ საშინელებას თვალი გაუსწოროს.

ხშირათ უბედურების ხმა მძლავრი და გაზვიადებულია.

აქ კი სინამდვილე უფრო საზარელია ვიდრე ყოველივე ის, რაც გაზეთებში სწერია.

ვისაც თვალით არ უნახავს, ის ვერ წარმოიდგენს იმ საცოდაობას, რაც ქართლში დატრიალდა.

ქართლის დიდი ქალაქი გორი აღარ არსებობს. ქალაქის ადგილას ნანგრევებია.

აქა იქ დარჩენილან დახეთქილი კედლები.

ნანგრევებში დამარხულია რამდენიმე ათი ათასი მცხოვრებლების ქონება და სარჩო-საბადებელი.

ნანგრევებშივეა არის ჩამარხული ბევრი...

ხალხი შიშისაგან თავზარდაცემული და გაოგნებულია. უპატრონოთ ქუჩაში ყრიან.

ჩვენი მთავრობა რომ დროზე არ მიშველებოდა, სიცივე და შიმშილი ბოლოს მოუღებდა უბედურებს.

მაგრამ მთავრობა ერთი რას გააწყობს, როდესაც მარტო გორის ზარალი მილიარდებით არ ანაზღაურდება.

დაზარალებულია 50 სოფელი. ზოგიერთი სოფლის ადგილას მარტო ნანგრევებია. დაიხოცა ხალხი, ამოწყდა საქონელი.

ზოგიერთ ოჯახში აღარავინ აღარ გადარჩენილა.

ოსერაში—ატენის ხეობაში—ცხრა სული მოჰყვა ნანგრევებში ერთი ოჯახიდან და ცხრავე დაიხოცა.

მისაშველებლათ გაგზავნილი ჯარის კაცები სადღავეების გათხრას ვერ აუდიან

ვინც გადარჩა, ისინიც მკვდრებს შენატრიან: უსახლკარო და უხარკამეჩო ადამიანის ცხოვრებას ამ ზამთარში მართლა რომ სიკვდილი სჯობია.

მოსისხლე მტერსაც კი შეიბრალებს ადამიანი ასეთი უბედურების დროს

ნუთუ ჩვენ არ შევიბრალებთ ჩვენს მოქალაქეებს და არ დავეხმარებით მათ?

საერთო ძალღონით, საერთო დახმარებით უნდა შევუმსუბუქოთ ჩვენ მოქალაქეებს ასეთი აუწერელი უბედურება.

ქართლის უბედურება მთელი საქართველოს უბედურებაა.

ყველამ უნდა გავიზიაროთ ის.

გორი საქართველოს ისტორიული მშვენებაა, ის ქართლის გულია.

გორი უნდა აღდგეს, როგორც გამოაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ თავის მოწოდებაში.

გორის აღდგენაში ჩვენ ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა.

ორმოცდაათი სოფელი დაზარალებულია; მათში ოცდა ათი მთლად განადგურებულია.

ეს სოფლები უნდა აშენდეს მალე. მათ აშენებაში ჩვენ ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა

თუ სურვილი იქნა, მოძმისადმი სიყვარული და შეგნება მოვალეობისა, ამ უბედურებას უცებ გავაქარწყლებთ.

ვინც ასეთ დროს გულგრილობას გამოიჩენს, ის არ არის ღირსი რესპუბლიკის თავისუფალი მოქალაქის სახელწოდებისა.

მოქალაქენო! დაეხმარეთ გაუბედურებულ ძმებს.

შემოწირულება მიიღება მთავრობის კანცელარიის ხაზინადართან, მთავრობის საგანგებო კომიტეტში—სამოსამართლო დაწესებულებათა შენობაში, იუსტიციის მინისტრთან; რედაქციებში, ბანკებში, დამხმარე ბიუროში (ნინოს ქუჩა—წინათ ანასტასიის ქუჩა—№ 21 ექიმ გომართელთან), თფილისის ქალაქ თავთან.

მოვუწოდებთ პროვინციის მუშაკებს, დაიწყონ ყველგან მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლათ ბიუროები (კომიტეტები), რომლებსაც უნდა ჰქონდეთ მუდმივი კავშირი თფილისის მთავარ ბიუროსთან.

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარი ბიურო.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

24 თებერვალი

ფრანგული პრესის ცნობები.

კაიოს საქმე

კაიოს საქმის შესახებ მეორე სხდომა მოხდება პარასკევს გამოწვეულნი არიან მოწმენი. დაიწყება დამნაშავეთა დაკითხვა

ელჩების კონფერენცია

ელჩების კონფერენცია შაბათს იხილავდა საკითხებს, რომლებიც საზავო ხელშეკრულების საზღვაო პირობების აღსრულებამ გამოიწვია. გადასწყვიტეს ანკეტა გამართონ იმ მუხლის აღსრულების შესახებ, რომელიც გერმანიის რადიო სადგურთა კონტროლს ეხება. ციმბირში მყოფ გერმანელ ტყვეთა სამშობლოში დასაბრუნებლად გემების გაგზავნას საბჭო დაეთანხმა იმ პირობით, რომ ყოველ შემთხვევაში იქ მყოფ ჩეხოსლოვაკელ, სამხრეთ სლავიელ და პოლონელ ტყვეებს სამშობლოში დაბრუნების პრიორიტეტი ექნებათ. დაბოლოს კონფერენციამ გამოიმუშავა უნგრეთში მყოფ მათ წარმომადგენლებისათვის ინსტრუქციები.

ოსმალეთის საკითხი.

მილერანი ლონდონში დარჩება, ალბათ, კვირის დამლევამდის. „პეტი პარიზიენის" ლონდონელ კორესპონდენტის ცნობით მოკავშირეთა კონფერენციას ოსმალეთის საკითხის შესახებ ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი გამოუტანია. ოსმალეთს რჩება კონსტანტინეპოლი. მოკავშირენი დაიცავენ დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებს. სმირნა დაუტოვეს საბერძნეთს. იმ კუნძულის შინა ტერიტორიები დარჩებათ მათ, ვისაც იგი დღეს უჭირავს. გრძელდება საფრანგეთის მანდატი სირიის ოლქებზე. გადაუსწყვეტლათ დარჩა მრავალი ფინანსიური საკითხი. მილერანის იქ ყოფნის დროს საბოლოოდ განხილულ იქნება საზავო ხელშეკრულება ოსმალეთთან. რაც შეეხება ადრიატიკის საკითხს, ვილსონის პასუხი ჯერ არ მიუღიათ და ამიტომ გაცვლა-გამოცვლა წინა წერ საუბარს არ სცილდება.

„პეტი პარიზიენი" იუწყება: ბართუ პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიიდან შაბათ საღამოს წავიდა საბჭოს პრეზიდიუმში სადაც იგი მიიღო მილერანმა ბართუმ მილერანს სთხოვა რომ მან ხელი შეუწყოს ლონდონში კონფერენციაზე სულთანის კონსტანტინოპოლში დატოვებას და სირიაში საფრანგეთის გავლენის გამაგრებას.

ოსმალეთის საზავო დელეგაცია.

კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან, რომ ტეუფიკ ფაშა ოსმალეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეთ დაინიშნა.

კლემანსო ეგვიპტეში

ქაიროდან იუწყებიან: კლემანსომ 3 დღე გაატარა ლუქსორში, სადაც ტაძრები ინახულა. ლუქსორიდან კლემანსო გაემგზავრა ასუანში. იგი დაათვალიერებს აგრეთვე რამდენიმე მნიშვნელოვან ადგილს და ხარტუმ, ასუანის და ლუქსორის გზით დაბრუნდება.

ვერდენის ბრძოლის წლისთავი.

ვერდენის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა პატრიოტული დღესასწაულის მოწყობა 1916 წლის 23 თებერვლის მოსაგონრათ, როდესაც გერმანელების უძლიერესი და უკანასკნელი შემოტევა იყო. ამის გამო ყველა პოლკი, რომელიც კი მაასის ნაპირებზე ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა თავის დელეგაციებს გამოგზავნის თავის სახელოვანი დროშებით. ამ დღესასწაულს დაესწრობა პოლ დეშანელიც.

მოლაპარაკება ლატვია საბჭოთა რუსეთს შორის.

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მეიეროვიცმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: ლატვიის მთავრობამ მიიღო რა საბჭოთა მთავრობის წინადადება ზავის შეკვრის შესახებ, გადაწყვიტა მოლაპარაკება დაიწყოს, თუ შესაძლებელი იქნება, ფინეთის, პოლონეთის და ლიტვის თანხმობით და ამ მიზნით მოიწვია ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლები სპეციალურ კონფერენციაზე, რომელიც ერთი თვის შემდეგ მოხდება.

ცეცხლი სტრასბურგში.

შაბათს ღამით, სტრასბურგში გაჩნდა დიდი ცეცხლი. მატერიალური ზარალი დიდია.

ინგლისური პრესის ცნობები

მოკავშირეთა თათბირი.

ის გადაწყვეტილებანი, რომელსაც ოსმალეთის საკითხის შესახებ მოკავშირეთა საბჭო დაადგა, წინასწარ არის შედგენილი და დაინტერესებულ მხარეებისათვის ჯერ არ უცნობებიათ. თუ ფრაკიის შესახებ ვენიზელოსის მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს, მაშინ გალიპოლის მთელი ნახევარი კუნძული საბერძნეთს დარჩება. კონფერენციის წრეებში ფიქრობენ, რომ მოკავშირეთა თათბირმა ლონდონში, შეიძლება კიდევ ორი კვირას გასტანოს.

დამნაშავეთა საკითხი.

რეიტერის პარიზელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: გუშინ აქ ჩამოსული ლორდ ბირკენხედი ელჩების საბჭოსთან ერთად განიხილავს მრავალ დეტალს, რომელიც გერმანელ დამნაშავეთა საკითხს ეხება. ბერლინიდან მოსულ ცნობით გერმანიის იუსტიციის მინისტრს უთქვამს:

ომის კანონების დარღვევაში დამნაშავეთ გაასამართლებს ლაიპციგის სასამართლო, რომელიც შვიდი მოსამართლისგან შესდგება. მრავალი საქმის შესახებ უკვე დაიწყო წინასწარი კვლევა-ძიება სასურველათ მიდის აგრეთვე საბუთების შეკრების საქმე, ვინც სამართალში მიცემულია და თავისი ნებით არ მივა სასამართლოში, მას დაიჭერენ. შიფერი ენერგიულათ იცავდა იმ აზრს, რომ გერმანიის მთავრობა ამას უცქერის, როგორც სახელისა და პატიოსნების საკითხს და იგი დასჯის მათ, ვინც დამნაშავეა.

ბოლშევიკების ცნობები.

თევზი დამშეულ ბავშვებს.

ტაგანროგი, 20—2. ზღვის ნაპირის ოლქების გლეხებმა ერთ დღეს დაჭერილი თევზის რაოდენობა ჩრდილოეთის დამშეულ ბავშვებს შესწირეს. თევზი იგზავნება მოსკოვსა და პეტროგრადში.

შ ე შ ა.

გომელი, 22—2. თებერვლის პირველ კვირაში გომელის გუბერნიაში 4000 კუბ. საჟენი შეშა დაამზადეს.

სიხარული.

ველსკი, 21—2. არხანგელსკის აღებამ მცხოვრებლები გამოაცოცხლა. მოქალაქენი აღფრთოვანებული არიან. არხანგელსკის აღების ცნობა ელვის სისწრაფით მოედო მთელ მხარეს.

სამხედრო ცნობა.

ივანოვო-ვოზნესენსკი, 23 თებ. დამატებითი ცნობებით ჩვენმა ჯარმა არხანგელსკთან ხელში ჩაიგდო 2 დიდი და 5 მცირე ყინულ მჭრელი და ნავი „ჩესმა". სახელოსნოებში, გემის საკეთებელში და საინტენდანტოში სრული წესრიგია. ონეგის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩვენ მხარეზე 606 კაცი გადმოვიდა. რეჩიცის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. მოზირის და ოვრუჩის რაიონში ჩვენი ჯარი მოზირის დასავლეთით 15 ვერსზე და ოვრუჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით 15 ვერსზე იბრძვის. მტერი გენიჩესკს ზღვიდან ესროდა. მტრის აეროპლანები სალ. ჩონგარს ყუმბარებს უშენდა. როსტოვთან და ნახიჩევანთან მკაცრი ბრძოლა გრძელდება. ნოვოჩერკასკის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. მანიჩზე ბრძოლა ცვალებადია.

ტიხორეცკაიას მიმართულებით ველიკოკნიაჟესკის სამხრეთ-დასავლეთით 70—80 ვერსზე სოფლები ავიღეთ. სტავროპოლის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. კრასნოვოდსკის მიმართულებით დამატებითი ცნობებით ხელში ჩავიგდეთ 60,000 ფუთი ნავთი. ნავთის სამრეწველოები მუშაობას განაგრძობენ. ჩერვანსკის რაიონში ჩვენმა ჯარმა გულჩის სიმაგრე აიღო. სოფ. არავანის რაიონში გავფანტეთ მტრის რაზმი.

დამფუძნებელ კრების ს.-დ. ფრაქციაში

23 თებერვლის სხდომაზე ეკაკი ჩხენკელის და გრ. გიორგაძის თავმჯდომარეობით ფრაქციამ მოისმინა გორიდან დაბრუნებულ დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამ. ლომთათიძის მოხსენება გორში მომხდარ მიწის ძვრის შესახებ. მოხსენების შემდეგ ფრაქციამ დაადგინა შეიტანოს დამფუძნებელ კრებაში შემდეგი წინადადებები:

1) გადაიდოს სასწრაფოთ 20 მილიონი მანეთი, მიეცეს დაზარალებულთ ტყის ყოველივე მასალა, ტანისამოსი, მედიკამენტები და სხვა საჭირო საგნები.

2) დამფ. კრების დეპუტატებმა გაიღონ ერთდროული დახმარების სახით 130 000 მან.

3) შეჩერებულ იქნას ხარკის აღება დაზარალებულ სოფლებში.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე, მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში თფილისის კომიტეტი იწვევს პირველ და მეორე რაიონების შეერთებულ პარტიულ სხდომას, სადაც ამხ. ნოე რამიშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „პროლეტარიატის დიქტატურა და სოციალური რევოლუცია".

— სახალხო გვარდიის მთავარ შტაბმა დაადგინა: სასურველად იქნას ცნობილი პროვინციული შტაბების წინ ადგილობრივად მოეწყოს სასამართლო-სამეურნეო მუშაობა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის სასამართლო-სამეურნეო განყოფილების საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ.

— თფ. სასამართლოს პალატის პროკურორმა ცირკულიარით მიმართა ყველ-

დავით კლდიაშვილის შემოქმედება *)

დემოკრატიულობის მოძრაობამ ჩვენს მწერლობაში გამოიწვია გოდება წარსულზე, აწმყოს უარყოფა და წარსულის გაზვიადება, გაღმერთება.

ამ ნიადაგზე პოეზიაში ფეხი მოიკიდა და თანდათან გაძლიერდა რომანტიული მიმართულება, რასაც ევროპის ლიტერატურის გავლენამაც შეუწყო ხელი.

ილია ჭავჭავაძემ საფუძვლიანათ შეიგნო, რომ ამ გზით სიარული შორს ვერ წაგვიყვანდა და გამოაცხადა:

მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვცდილობთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვჰქმნათ მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალ ხალხს...

„კაცია-ადამიანით" ილიამ დაამტკიცა, რომ მას უნდოდა სინამდვილის გადმოცემით ჩვენი ცხოვრების გაწმენდა, ამაღლება და ღირსეული მომავლის შექმნა. ილიამ მძლავრათ ჩასჭიდა ხელი ცხოვრების სინამდვილეს, რეალიზმს. მაგრამ გავლენა თანამედროვე მიმართულებისა სიტყვა-კაზმულ მწერლობაში იმდენათ ძლიერი იყო, რომ ამ რკინის ხასიათის კაცმაც კი ვერ დააღწია რომანტიზმს თავი და იმის პოეზიაში რეალიზმი შეზავებულია რომანტიზმით.

გიორგი წერეთელი სრულებით ჩამოშორდა რომანტიულ მიმართულებას და თავისი შემოქმედება დაამყარა სრულ რეალიზმზე იმდენათ, რომ ზოგჯერ მისი რეალიზმი გადაჭარბებულიც არის.

ცხოვრების სინამდვილის მხატვარი, რეალური მიმართულების წმინდა მიმდევარი ეგნატე ნინოშვილია.

ნინოშვილის შემოქმედებას მარტო ოცნება, ფანტაზია კი არ ასაზრდოებს, არამედ სინამდვილე.

ასეთივეა დავით კლდიაშვილიც.

ამ მხრივ ამ ორ ბელეტრისტ შორის ერთგვარი მსგავსებაა, მაგრამ განსხვავებაც დიდია. ნინოშვილი სინამდვილეში აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას მთავარ ხაზებს და შემდეგ საკუთარი შემოქმედების ცეცხლით ჰქმნის თავის სინამდვილეს.

წვრილმანები მას არ აინტერესებს. დავით კლდიაშვილი სინამდვილეში ყოველგვარ წვრილმანს აქცევს ყურადღებას, მაგრამ ხშირათ ეს წვრილმანი მეტად დამახასიათებელია.

ავიღოთ სამანიშვილის დედინაცვალში სულ უბრალო წვრილმანი, როდესაც პლატონი ცხენს კაზმავს, რომ გზას გაუდგეს.

— ა, ამოგივარდა პატრონი! მიაძახა პლატონმა, მისართავს რომ ხელი მოჰკიდა.—მეტი, მელანო, ჩხინკი იქნება რამე... ესა არ ქონებია აზნაურს! მეტი მალე, თუ ქალი ხარ!

ან და პლატონი და არისტო რომ ბრეგაძეებს ეწვევენ და ვახშმისათვის ქათმის ჭერა რომ შეექნათ მასპინძლისას. „ეზოიდან მოისმა რაღაც ხმაური და... ვერ გაირბინა ქათამმაც, მას უკან მისდევდა ძაღლი დასაჭერად, აგერ კაცის ფეხის ხმაც მოისმა, რომ მირბოდა".

ყოველივე ეს ხომ წვრილმანია—ეს [illegible], გაქცეული ქათამიც, რომელსაც უკან ძაღლი დასდევდებოდა,—მაგრამ ამ წვრილმანებში მთელი იმერეთია.

და დავით კლდიაშვილიც იმერეთის მხატვარია.

იმერეთის ცხოვრებისა და იმერელი აზნაურის სულის ზედმიწევნით ცოდნა ავტორის განსაკუთრებული თვისებაა. ყოველი მისი მოთხრობა იმერეთის რომელიმე კუნჭულია.

სისწორით, სინამდვილით გადმოცემა ცხოვრებისა კლდიაშვილს განსაკუთრებით ეხერხება.

მისი აღწერა ქალების მუსაიფისა, ქელეხისა, ლხინისა, მთვრალი სტუმრისა და სხვ. უნაკლულოა.

ყველა ეს—პლატონი, ოტია, დარისპანი, არისტო, კირილე, სოლომონი, ევგრაფი, ბეკინა და სხვ. ხომ ჩვენი ნაცნობები არიან, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ და ვხვდებით იმერეთის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

როგორც ვთქვით, კლდიაშვილი იმერეთის აზნაურობის, მისი ცხოვრებისა და სულისკვეთების მხატვარია და ამ მხრივ მის მოთხრობებს დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვთ. დავით კლდიაშვილი სწორედ იმ ხანებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზედ, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში წარმოიშვა მესამე დასი და დაიწყო მოქმედება.

თუ მესამე დასის მწერლები პუბლიცისტიკაში არკვევდნენ ჩვენი ცხოვრების გზასა და მიმავალ სახეს, კლდიაშვილი კაზმული სიტყვით ჰხატავდა თვითონ ცხოვრებას და მისი მხატვრობა იყო საუკეთესო დადასტურება მესამე დასის პუბლიცისტიკისა.

დავით კლდიაშვილს არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის შემდეგი: მე ცხოვრებას ვხატავდი და მაშინ სრულებით არ მქონდა წარმოდგენილი, თუ რა დასკვნა გამომდინარეობდა ჩემი მოთხრობებიდანო.

და მართლაც რა დასკვნა გამომდინარეობდა?

დავით კლდიაშვილმა ფარდა ახადა იმერეთის აზნაურობის ცხოვრებას და დაგვანახვა, რომ სინამდვილემ მაწარმოება აზნაურობას და გლეხობისაკენ მიათრევს. აზნაურობა იბრძვის, ეწინააღმდეგება, მაგრამ ამაოდ.

— რა აქვთ კიდევ სამეოო? ეკითხება სონია ქიმუშაძისა გაქირავებაში თავის თავს [illegible] აზნაურების შესახებ და პასუხი ერთად ერთია: საიმედო აღარაფერი აღარ არის.

აზნაურობა გლეხობას გაუთანასწორდა ცხოვრებით, მუშაობით, შეძლებით, კანონში კი მაინც აზნაურათ იწოდებოდა და აზნაურობისათვის სასაცილო ხასიათი ეძლეოდა ყველას.

მაშ რას მოითხოვს ცხოვრება კლდიაშვილის შემოქმედებაში? წოდებათა გაუქმებას.

როგორია ჩვენი ცხოვრების განვითარების მიმართულება კლდიაშვილის შემოქმედებით?

ჩვენი ცხოვრება მიდის დემოკრატიულ წყობილებისაკენ.

საქართველოში ვითარდება დემოკრატიული წყობილება,—აი რას გვიუწყებოდა კლდიაშვილის შემოქმედება მაშინ, როდესაც ჩვენს მწერლობაში მესამე დასს თავს ესხმოდნენ ყოველის მხრიდან ძველი მოღვაწენი სწორედ იმიტომ, რომ მესამე დასი უთითებდა ჩვენს საზოგადოებას ბურჟუაზიულ დემოკრატიული წყობილებისა და შემდეგ სოციალიზმის აუცილებლობაზედ.

ერთად ერთი გზა ქართველი ერის განვითარებისა არის გზა დემოკრატიული—სხვა გზა არ არსებობს. აი რა დასკვნა გამომდინარეობდა კლდიაშვილის მოთხრობებიდან მაშინ, როდესაც ეს ჩვენში ძალიან ცოტასათვის იყო ცხადი.

ცხოვრებამ სრულებით გაამართლა დავით კლდიაშვილი.

ასეა ყოველთვის გამართლებული ის, ვინც ცხოვრების სინამდვილეს ჰხედავს და გრძნობს მთელი თავისი არსებით.

მაგრამ ცხოვრებას ორი მხარე აქვს: მოძრავი და უძრავი. ორივე ახასიათებს მას, მაგრამ ერთნაირათ კი არა; უძრავი მხარე უფრო წარსულისაკენ იყურება, წარსულის ისტორიაა, მოძრავი კი მომავლისაკენ. უძრავს გზა განვლილი აქვს, ის დამთავრებულია, დასრულებული.

მოძრავს კი გზა გასავლელი აქვს, ის დაუმთავრებელია, ჯერ კიდევ დაუსრულებელი.

სწორეთ ამიტომ მოძრავი ცხოვრების ამოცნობა და დახატვა მეტად ძნელია. ამისათვის განსაკუთრებული ნიჭია საჭირო.

კლდიაშვილი ასეთი განსაკუთრებული ნიჭით არის დაჯილდოვებული. მას იზიდავს ცხოვრების მოძრავი მხარე, ახლის მატარებელი მოვლენანი და პირები.

ბენიკა სამანიშვილი, ჯიმშერ სალობრიძე ძველი ცხოვრების პირები არიან. ამათი სრული დახასიათება არ ეხალისება ავტორს. მას უფრო იზიდავს ისეთი პირები, რომლებიც ცხოვრებაში და სულში ცვლილება, მოძრაობა სწარმოებს. ავიღოთ პლატონ სამანიშვილი, ოტია ქიმუშაძე და სხ.

დავით კლდიაშვილი მარტო ბელეტრისტი არ არის,—მას აქვს დრამატიული ნაწერებიც

ეს ნაწერები მიჩნეულნი არიან ავტორის ნიჭის სუსტი და ძლიერი მხარეებისა.

ერთ ალაგას მე ვადარებდი კლდიაშვილსა და ნინოშვილს ერთმანეთს. ორივე სინამდვილეზე არიან დამყნობილნი. მაგრამ სინამდვილე მხოლოდ ფერებს აძლევს ნინოშვილის ფანტაზიას და ავტორი თვითონ ჰქმნის საკუთარ ტიპებს სინამდვილის მასალიდან. მისი მოსე მწყემსი, ტარიელ მკლავაძე უკვდავი ტიპები არიან.

ნინოშვილი სინამდვილის წიგნში ჩაიხედავს, შემდეგ ჰხურავს და თვითონ ჰქმნის. ის მხოლოდ ხელმძღვანელობს ამ სინამდვილით.

კლდიაშვილის ფანტაზია უფრო სუსტია და ის სინამდვილეს ერთ წამსაც არ უშვებს ხელიდან. ის სინამდვილის წიგნს არა ჰხურავს, რადგანაც მას უფრო ენდობა ვიდრე საკუთარ ფანტაზიას.

ის სინამდვილის წიგნით კი არ ხელმძღვანელობს საკუთარი შემოქმედებისათვის, როგორც ნინოშვილი, ის თვითონ ამ წიგნს ჰხატავს და მისი შემოქმედების სიძლიერეც სწორედ ამაშია.

სინამდვილის გრძნობა, ცნობა, ხილვა, სმენა მასში ფანტაზიას სჭარბობს. ამიტომ კლდიაშვილის პიესები ძლიერნი არიან იმდენათ, რამდენათაც მათში სინამდვილეა ახატული.

იმერეთის ცხოვრება, ჩვეულება, იმერული ტიპები, იმერული აზნაურობა,—აი მთავარი კლდიაშვილის პიესებში. მათში ცხოვრების ცვალებადობა არის გადმოცემული, ხოლო ძლიერი, ღრმა შემოქმედება აქ არ არის.

კლდიაშვილის პიესები იგივე მოთხრობებია, სადაც ზოგან ფსიხოლოგიური განცდა სჭარბობს, ზოგან კი ცხოვრების დასურათება.

ირინეს ბედნიერებაში უმთავრესი პირია აბესალომ სალამთაძე, რომელიც ტარიელ მკლავაძის შორეული მონათესავეა.

ამ პიესაში ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აბესალომ სულიერ ვითარებას.

დარისპანის გასაჭირში—იგივე იმერული ცხოვრება მისი ზნე-ჩვეულებით.

---

*) იხ. „ერთ." № 41.

მოქალაქენო, დაეხმარეთ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ

დაეხმარეთ შეძლებისა დაგვარათ--ვისაც რამდენი შეგიძლიანთ: ფულით, სურსათით, ტანისამოსით. გახსოვდეთ რომ ყოველი წვლილი დიდი დახმარება და იმედი იქნება დაზარალებულთათვის!

და პროკურორებს, რომ, რადგანაც ტუსაღების თხოვნები, მიმართული მთავრობის თავმჯდომარის, ან იუსტიციის მინისტრის, ან სენატის სახელობაზე იგზავნება პროკურორების მიერ ხშირად ცნობების დაურთველად და ამის გამო მეტის მეტად ფერხდება მათი კანონიერი მსვლელობა. ამიტომ ამიერიდან ყოველს ასეთს შემთხვევაში პროკურორმა თან დაურთოს ტუსაღების თხოვნებს ყველა ცნობები, რომელიც მოიპოვება მთხოვნელის შესახებ პროკურორის ან ციხის კანცელარიაში.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს, კალანდაძე აგასოვასა, მანდენოვისა, სარაჯიშვილის, ინაშვილის მონაწილეობით არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე" და ბალეტი. ხუთშაბათს, 28 თებერვალს მოდანიოვის ბენეფისი „ბალ მასკარადი". პარასკევს, მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ „ბატერფლეი", ბალეტი და დიდი საკონცერტო განყოფილება მთელი დასის მონაწილეობით.

◆ **მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა** სასარგებლოთ რედაქციამ მიიღო: გოგინავის სახელოში შეგროვილი 420 მან — შემოსწირეს: გიორგიმ 100 მ. ოთარმა 100 მ. ვანომ 50 მ. მეორე ვანომ 50 მან., გეგოჭემ 50 მანეთი, არჩილმა 30 მან., სიკომ 20 მ., ფასომ 20 მან., დათიკო ივ. როსტომაშვილისაგან 500 მან., ას-ასი მანეთი შემოიტანეს: ელენე ბაბუაძისამ, გ. ბაბუაძემ, ი. ავაქოვმა, ა. ცისკარიძემ, გრ. ქუმბურიძემ, აკ. ეზრალიძემ, გრ. მალაზანიამ, გ. გიორგობიანმა, ივ. სინაურიძემ, ს. გაჩეჩილაძემ; სულ 1000 მან. სილ. თავრთქილაძისაგან 500 მან. ვლად. ცირღილაძისაგან 200 მან.

გუშინ იყო — 15,150 მან.
დღეს მოემატა— 2,620 მან.

— 25 თებერვალს საღ. 5 საათზე ნაძალადევის თეატრის შენობაში დანიშნულია პირველ რაიონულ გვარდიის მე თებერვლის სამხრეთ კრების გაგრძელება. კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

უცხოეთი

ოსმალეთი.

აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის ცნობის გამო. გაზ. „ვენი გიუნი" მოწინავე წერილი უძღვნა აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის აღიარებას, რომელშიაც სხვათა შორის, შემდეგს სწერს: თურქეთა ხალხი გამდიდრდა კიდევ ერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთი. ოსმალეთის ხალხი, რომელმაც აუარებელი სისხლი დაღვარა ბაქოს კედლებთან კავკასიელ ძმებისა და შვილების განთავისუფლებლად,—სალამს უძღვნის თავის მოძმეთა დამოუკიდებლობას. გაზეთი სწუხს, რომ ოსმალეთის მთავრობამ არაფრით არ აღნიშნა ეს დღე, მისალმებელი დეპეშაც კი არ გაუგზავნა აზერბეიჯანის მთავრობას. აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის ცნობა მარჯვენებელია თურქეთა ხალხის აღორძინებაში და მისი განვითარებისა მომავალში. გაზეთი მოითხოვს, რათა გაგზავნილ იქნეს აზერბეიჯანში ოსმალეთის დიპლომატიური წარმომადგენელი, რომ ამით განმტკიცდეს ძმური კავშირი აზერბეიჯან—ოსმალეთს შორის.

ქალაქის საბჭოს კომისიისაგან.

მოქალაქენო!

ულმობელმა ბუნების სტიქიამ ქართლი სასიკვდილოდ დაკოდა.

ქართლის გული—ქ. გორი და მის მიდამოები სოფელ-დაბები უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან.

ასობით და ათასობით უბინაონი, მშიერნი, ტიტველ შიშველნი ელიან დამხმარე ხელს. დედა უნუგეშოთ დაჰყურებს შვილის გაციებულ გვამს, მამა უიმედოთ ცდილობს ცრემლით გაჟღენთილის შვილის ჭრილობის ტკივილები, ცოლი სასოწარკვეთილებით შესთხოვს ცას და ქვეყანას დაეხმაროს ოჯახის მარჩენალის გამოცოცხლებაში. იმედდაკარგული ბავშვები დახმარებას ითხოვენ.

გაძარცვულ ქართლის მცხოვრებთა საერთო სახადგომი სტიქიამ ნანგრევების ქვეშ მოაქცია. აღარ აქვს ქართლის რამდენიმე სოფელს, რამდენიმე ათასეულს საცხოვრებლად გამოსადეგი საჭირო ბინები, სანოვაგე და ნივთები.

ტირის მოხუცი, გლოვობს ყმაწვილი, წიოკობს ბავშვი. ყველა ელის დახმარებას, ღმობიერის თვალებით შეჰყურებს ბედში მყოფ მოძმეს და მისგან მოელის ხსნას.

მოქალაქენო, უდიდეს გაჭირვებაშია ქართლი და მისი გული—გორი. ქართლის გაჭირვება, ქართლის უბედურება—ჩვენი გაჭირვება და უბედურება არის.

დახმარებას გვთხოვენ დაქვრივებული ცოლები, დაობლებული ბავშვები, დასახიჩრებული მამები—ოჯახის მარჩენელნი და ჩვენც ამ თხოვნას არ გავგებთ, არ შევისმენთ, არ უნდა შევძლოთ.

შველას ითხოვენ უდანაშაულო მსხვერპლნი სტიქიისა და ჩვენც დავეხმაროთ ამ უბედურთ, დავეხმაროთ რითაც და როგორც შეგვიძლია, უშველოთ გაჭირვებულთ, ჩვენის დახმარებით გავუადვილოთ უბედურების გადატანა, ცრემლი მოვწმინდოთ მტირალთ.

ამას ითხოვს ღვთიურ მოქალაქესაგან მისი ადამიანობა, მისი სინდისი.

გატიალებულ გორს და მის მიდამო სოფლებს ესაჭიროება ყველაფერი: ტანთსაცმელი, ფეხსაცმელი, სურსათ-სანოვაგე, ფული, ოჯახის მოწყობილობა, სკამები, ტახტები, ლოგინი და ს. ხ.

შემოწირულებათა მისაღებად და მოსაგროვებლად თფილისის ტერიტორიაზედ თფილისის ქალაქის საბჭომ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც გარდა ხმოსნებისა, შედიან ადგილობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, (მუშათა, ვაჭარ მოწვეულთა, ეროვნულ საბჭოების და სხვათა), ქველმოქმედნი, საზოგადო მოღვაწენი და სხვა.

მოქმედების ერთფეროვნებისათვის, ძალთა დაქსაქსვის თავიდან ასაცილებლად და ნაყოფიერ მუშაობისათვის, საბჭომ საჭიროთ აღიარა ყველა უკვე შემდგარ მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე სხვადასხვა კომისიები და კომიტეტები მოქმედებდნენ ქალაქის კომისიასთან შეთანხმებით.

ამიტომ უკვე შემდგარი ქალაქის კომისია თხოვნით მიმართავს ყველა კომისიებს და კომიტეტებს თავიანთი მოქმედება შეუთანხმონ ქალაქის კომისიას, რისთვისაც საჭიროა არის წინასწარი მოლაპარაკება და მოქმედების ერთგვარი გეგმის შემუშავება.

კომისია დღეიდან იწყებს ყოველგვარ შეწირულების მიღებას ჯერ-ჯერობით ქალაქის თვითმართველობის შენობაში—ქალაქის მოურავთან, ან ქალაქის მდივანთან—და შემდეგ სხვა პუნქტებშიც, რომლებიც ცალკე გამოცხადდებიან.

ქალაქ თფ. საბჭოს კომისიის თავმჯდომარე **ბ. ჩხაკვიშვილი.**

მიწის ძვრა საქართველოში

მთავრობის საგანგებო კომიტეტში.

თებერვლის 20-ის სხდომაზე მთავრობის მიერ არჩეული საგანგებო კომიტეტი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად არჩევისთანავე შეუდგა თავისი მოვალეობის აღსრულებას კომიტეტში შედიან: იუსტიციის მინისტრი რ. მ. არსენიძე (თავმჯდომარე), შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი და ერობათა კავშირის წარმომადგენელი პ. გ. ჭიჭინაძე, (თავმჯდომარის ამხანაგი), დამფუძნებელი კრების წევრი ივ. გ. გომართელი, თფილისის ქალაქის თავი ბ. გ. ჩხაკვიშვილი, ქალაქთა კავშირის წარმომადგენელი მ. ო. ზანდუკელი, რკინის გზის წარმომადგენელი დ. გ. ათაბეგი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიკო-სანიტარულ განყოფილების უფროსი სვ. დ. ჯაფარიძე, პროფესიონალურ კავშირთა თავმჯდომარე ჩოლოძე, მისი ამხანაგი ს. დომბაჯგანიძე და იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორი გ. თ. ყურულია, (კომიტეტის საქმეთა მმართველი).

კომიტეტის სხდომები იმართება ყოველ დღე, დილის 10 საათზე, იუსტიციის მინისტრის კაბინეტში, იქვე დანიშნულია მუდმივი მორიგეობა კომიტეტის წევრებისა. კომიტეტის ტელეფონები: 13—56 17—57, 10—51, 1—03.

პირველი ზრუნვა კომიტეტისა იმაში გამოიხატებოდა, რომ მიეწყო მიწის ძვრისაგან დაზარალებულ შენობების დათვალიერება, მიცვალებულების და დაშავებულთა შველა, რისთვისაც გორში გაიგზავნა საჭირო ტექნიკური პერსონალი და სამკურნალო რაზმი. ეს საქმე ამ ჟამად უკვე დამთავრებულია, მიცვალებულები დაშავებულები ამოთხრილნი არიან, მიცვალებულებს გორშივე ასაფლავებენ საერთო სასაფლაოზე, დაშავებულნი თფილისში ჩამოჰყავთ და სხვადასხვა საავადმყოფოებში მოათავსებს.

ამავე დროს კომიტეტი ზრუნავდა და ზრუნავს გადარჩენილ დაზარალებულთა უზრუნველყოფას ბინით და საჭმელ-სასმელით. ამისთვის გორში მრავლად გაიგზავნა სანიტარული ვაგონები, კარვები, ფიცრები ბარაკების ასაგებად, თბილი იურტები და „ფეჩები" მათ გასათბობად, რამდენიმე ათასი კომპლექტი თბილი ტანისამოსი, საცვალი და ფეხსაცმელი, მოძრავი სამზარეულოები და სხვა გაიგზავნება მრავლად ჩაი-შაქარი (50 ფუთი), კონსერვები, პური (დღეში 600 ფუთი იგზავნება), რამდენიმე ვაგონი შეშა და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული დაზარალებულთა მწყობრ ევაკუაციას, მათს ახალ ადგილებში მოწყობას და სურსათის უზრუნველყოფას. დეპეშით იქნა განკარგულება გაცემული, რათა დამზადებულ იქნას ბინები ყველგან, სადაც კი ეს მოსახერხებელია, სახელდობრ ხაშურში, სურამში, ბორჯომში, ქუთაისში, სამტრედიაში და სხვ. საპასუხო დეპეშებიდან ირკვევა, რომ ყველგან უკვე შეუდგნენ სამზადისს, მზად არიან მიიღონ დაზარალებულნი, მოუწყვიათ მათთვის ბინები, მოუმარაგებიათ მათთვის საკმაო სურსათი და სანოვაგე.

ტფილისში რეკვიზიციის წესით ჩამორთმეულია რამოდენიმე ოთახი სასტუმროებში „სვეტში", „ივერიაში", „ვასტოკში" და „ფლორენციაში". ამათგან „სვეტში" 23 ოთახი დანიშნულია დაზარალებულ რკინის გზის მოსამსახურეთათვის. ტფილისის სადგურზე დაწყებულია ნ. კ. ჩიკვაიძის ხელმძღვანელობით, მუდმივი ბიურო, სადაც დღე და ღამ განუწყვეტელი მორიგეობა სწარმოებს.

კომიტეტს მოუვლია მიხლის სხვა და სხვა კუთხიდან, დაწესებულებათაგან და კერძო პირთაგან წინადადებანი ფულით და შრომით დახმარების შესახებ.

საქმის უკეთესად გასაძღოლად გორში დაარსებულია კომიტეტის განყოფილება დამფუძნებელ კრების წევრის დ. ბ. ონიაშვილის თავმჯდომარეობით, ერობის, ქალაქის თვითმართველობის, სახალხო გვარდიის და მუშათა პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების მონაწილეობით. მთავრობის საგანგებო კომიტეტის ადგილობრივ რწმუნებულად დაინიშნა მ. ო. ზანდუკელი სურამ ხაშურ ბორჯომის რაიონში კომიტეტის რწმუნებულად დაინიშნა ექიმი გულისაშვილი, მის თანაშემწედ განსაკუთრებით ბორჯომის რაიონისთვის ექიმი კანდელაკი. ტექნიკური ნაწილის ხელმძღვანელობა დაევალა ინჟინერ არ. პ. ბურჯანაძეს.

კომიტეტის დადგენილებით, უნდა მოხდეს დაწვრილებითი აღწერა-ფიქსაცია მომხდარ უბედურებისა, რის ხელმძღვანელობაც დაევალათ დამფუძნებელი კრების წევრთ ივ. გომართელს და პ. ა. გელეიშვილს, რომელნიც უკვე გაემგზავრენ გორში. იქვე გაიგზავნა ფოტოგრაფი. მიღებულია ზომები ტფილისში მცხოვრებთა ზარალის რაოდენობის გამოსარკვევად. ამისათვის დაზარალებულ რაიონში გაიგზავნება საგანგებო კომისია იუსტიციის და ფინანსთა უწყებისა, სახელმწიფო კონტროლის და ადგილობრივ თვითმართველობათა წარმომადგენლებისაგან.

შაბათს, თებერვლის 21-ს, გორში გაემგზავრნენ კომიტეტის თავმჯდომარე რ. მ. არსენიძე, კომიტეტის წევრები: ივ. გომართელი, სვ. დ. ჯაფარიძე, მ. ო. ზანდუკელი და სხვ.

განსაკუთრებული ღვაწლი დასდო საერთო საქმეს იტალიის მისიის მიერ გაგზავნილმა საგანგებო რაზმმა, რომელმაც დიდათ შეუწყო ხელი დაზარალებულთათვის დახმარებას. რაზმმა დაიცა კარვები, მოაწყო საექიმო დახმარება, დაურიგა დაზარალებულთ თბილი ტანისამოსი, საჭმელი, მედიკამენტები და სხვა.

საერთოდ, იტალიელების მისია დიდის თანაგრძნობით მოეკიდა ქართველ ერის მიერ დამ წილხვედრილ უბედურობისა გამო. აი რასა სწერდა მისიის მეთაური სენ. კონტი საგარეო საქმეთა მინისტრს ე. პ. გეგეჭკორს იმ დღეს, როდესაც დატრიალდა უბედურობა: „ქვეყნის უბედურებამ თავზარი დამცა. მით უმეტეს ვარ აღელვებული, რომ ვიცი ამგვარ უბედურების ყოველი შედეგი, რაც ჩემს სამშობლოში ხდება. გიძღვნით ღრმა გულწრფელ თანაგრძნობას და ვფიქრობ, რომ მისია იმდენად მოწყობილი არ არის, რომ დაეხმაროს თქვენ თანამემამულეთ. მე განკარგულება გავეცი, რომ ყველაფერი, რაც კი შეიძლება გამოადგეს დაზარალებულთ: ექიმები, მედიკამენტები, ხალები, კარვები, კროვატები და სხ. გადმოცემულ იქნას თქვენს განკარგულებაში. პერსონალი უკვე მზად არის წასასვლელად" და სხ.

გორის ტრაგედია.

(პირადი განცდანი და შთაბეჭდილებანი)

19 თებერვალი, საღამოს 6 საათი. სიცივისაგან გათოშილი სოფლიდან მოვედი და დაისვენებლად გორის სამაზრო სოც.-დემოკრატიულ კომიტეტის ბინაზე მივედი. ამ დღეს მთელი დღე ღრუბლები ირეოდნენ, ზოგჯერ ამინდი შეღრუბლებით წყნარი და უქარო იყო. საღამოზე, 6 საათიდან, დაიწყო ქარი და თოვა. განმეტებული თოვლი ჰაერში არეულად ეცემოდა. გორის გარეშემო მთის ფერდობები არაჩვეულებრივი ტყვიისფერი სინათლით გამოიყურებოდნენ, თვით ქალაქ გორის სახლების თავები და ქუჩები, სხვა დროის მსგავსად, ამ საღამოს დიდათ და გარკვეულად მოსჩანდნენ.

ღამის 11 საათზე მინის კარები ვილაცამ დააბრახუნა; გავედი კარში და აღმოჩნდა თფილისის მატარებლით ჩამოსული ჩემი ამხანაგი. გაუღე კარი და შემოვიყვანე, მე მცირე ხნით ქუჩაში გავედი და მივიხედ-მოვიხედე. ქარის ბრძოლა მომატებული იყო, თოვლს ხშირათ და მეტად ძლიერად ყრიდა, ყინავდა კიდეც. ისეთი ნათელი ღამე როგორიც იმ დროს იყო, გორში არასოდეს ყოფილა.

დავწექით. ჩემი ამხანაგი მაგიდაზე მიწვა და დ ღილის ჩქარა მიეძინა. ის იყო გაზეთის წაკითხვის შემდეგ მეც ღრმა ძილით ჩამძინებოდა და მოისმა...

არ შეიძლება ვსთქვა, ლოგინიდან წამოვარდნილი, ვგრძნობდი რამე თუ არა. თითქოს ცა დედამიწას დაეჯახა, რაღაც ჯოჯოხეთური რღვევა, მტვრევა და ლეწა-ლეწვა შეიქნა. ტიტველი კარში გამოვვარდი, ჩემი ამხანაგი მაგიდის ქვეშ შემძვრალიყო. საბანი რომელიცა კარში გამოვიტანე, კარებში რაღაცას გამოედო და იქვე დამრჩა.

ეს იყო სულ ნახევარ წუთში, შევბრუნდით. ტანისამოსი გარეთ გამოვიტაცეთ და იქ ჩავიცვით.

ქუჩაში გამოვედით. არა ჩვეულებრივი მოძრაობა; ტირილი, ოხვრა. ახლა უკვე ბნელოდა, ვეღარაფერს გაარჩევდით. ყველა კარში გამოსულიყო და სქელ კედლიან სახლების კამარის ამოფარებოდნენ ცოლშვილს.

ნაცნობები მოვიკითხეთ, ყველანი მშვიდობით გადარჩენილიყვნენ.

გათენდა. აფარებული შენობები მხოლოთ დაბზარულიყვნენ, ჩარჩოები გადმოზნექილიყვნენ. მხოლოდ ძლიერ სუსტი შენობები ერთი-ორი დანგრეულიყო.

ხიდის თავი და ოხვრა მთლათ ნანგრევებს ქვეშაა. მოიტანეს ჯოჯოხეთური ამბავი. პირდაპირი მავთულით ყველაფერი თფილისს გადავეცით. მინისტრის ამხანაგი მოდის. საჩქაროთ შველა უნდა ხიდისთავს, სოფელ მოსულმა...

ადმინისტრაცია, ქალაქის და ერობის გამგეობათა წევრები აქეთ იქით დარბიან. საჩქაროთ გამოწვეულ იქნა ჯარი, გვარდია და წერაქვებით თითქმის სირბილით გაეშურნენ ხიდისთავისაკენ. მეც მათ გავყევი...

სულის შემზარავი სურათია... სოფელი აღარსად იყო. იგი ნანგრევებს ქვეშ ჩაფლულა. ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე საზარი სანახაობანი ერთი მეორეს ასწრობენ.

ნანგრევებს ქვეშ მოყოლილი მკვდრები, ზოგი ოჯახიდან ყველა წევრები, მაწოვარა ბავშვები, აკვანში ჩაკრული ძუძუ-მწოვარები, ხანჯლით წამოსიყებულნი ყელ და მუცელ წამოგლეჯილნი ეყარნენ ეზოებში. მათი ამოღება ცოცხლათ გადარჩენილ სოფლელებს უკვე მოეხერხებინათ. ზოგიც ჯარის კაცებმა ამოთხარეს ნანგრევებიდან.

პირისფერმკვდრები ქუჩაზე შერეულნი მოჩვენებებს მოაგონებდნენ. არავის შეეძლო მათი ნუგეშისცემა. უბედურება და წუხილი მათი უსაზღვრო იყო.

მკვდრების აღწერის შემდეგ მინისტრის ამხანაგი და დანარჩენი მთავრობის და ორგანიზაციების წარმომადგენელნი საჩქაროთ გორისაკენ გაეშურნენ და ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, რომელიც ნაკლებათ იყო დაზიანებული, მოახდინეს თათბირი, გასცეს განკარგულებები, გადასცეს ყოველივერი მთავრობის თავმჯდომარეს და დახმარების მოლოდინში თვით ქალაქში ჩაატარეს დაზიანებულ შენობათა დათვალიერება. ეს იყო 2 საათზე.

გორის ნიადაგი დილიდან იძვროდა და ქანაობდა, თუმცა სუსტათ.

12 საათზე ხმა გავრცელდა მიწის ძვრა აღარ იქნებაო. მაგრამ შიში იმდენად ძლიერი იყო, რომ სახლებში შესვლას ვერავინ ბედავდა.

3 საათზე თავისუფლების ქუჩაზე სასადილოში შევედით. სადილი მოთავდა,—გვიპასუხეს და გამოვედით შუა ქუჩაში.

უცებ მოისმა ჯოჯოხეთური გუგუნი და ქალაქი გორი ჯერ საქანელად გადიქცა, შემდეგ კი, როგორც წყლიდან გამოსული ან ჭენების შემდეგ გაოფლიანებული ცხენი ძლიერათ შეიბერტყება, ისე იბერტყებოდა დედამიწის ზურგი ერთი წუთის განმავლობაში.

კედლების ჭახაჭუხი, ნგრევა, კორიანტელი მტვრისა, წივილ-კივილი ხალხისა. რა ხდებოდა აღარაფრის გამოცნობა არ შეიძლებოდა. მთელი გორი გაეხვია მტვრის საბურველში.

მტვერი ცოტა მიმოიფანტა. შენობების კედლები ნგრევას განაგრძობენ. ხალხი ღრიალებს. სადღაც გარბის თავის გაშველათ. ჩვენ შევდექით. მე და ჩემმა ამხანაგმა ხელები ერთმანეთს გადავაბით და თანაც შევუძახეთ, რომ ხალხი იქით არ გაქცეულიყო, სადაც ქუჩები ვიწრო იყო.

როგორც იქნა, შევაჩერეთ ერთი ჯგუფი. ამათ შეუერთდნენ ყველა მათი მიმდევრები. ჩვენს წინ რამდენიმე ებრაელი და ქრისტიანები დაეცნენ მუხლებზე და ხელებ აპყრობილი მაღალი ხმით ღმერთის სახელით მოუწოდებდნენ.

ირგვლივ კვნესა. დაჭრილთა ოხვრა. თმებ გაშლილი, მტვრით გახრილული დედა შვილებს გიჟივით დაეძებს. გაისმის ისტერიკული ხიცილიც. მეგობრები გადახვევიან ერთმანეთს, კოცნიან, გადარჩენას ულოცავენ. ცრემლები გადარჩობს, გინდა ყველას უშველო, მაგრამ უძლური ხარ ბუნების წინაშე.

მიაგარი ტალღები ქუჩაში გამოუშვებიათ და ისე შეუერთდებიან მავთულებთან. ზარი განუწყვეტლივ აწკარუნებს და ეძახის გარშემო სოფლებს, ქალაქებს. ისეთი ქაოსია, რომ გაგება იმის, თუ რა ხდება გორის გარშემო ადგილებში, არ შეიძლება.

ამაყათ მდგომი თამარის ციხე გორისა მთლად დაიქცა. გორის ჯვარის მწვერვალი, აქამდე თეთრი-სპეტაკი, ახლა გადამშავებულა ნანგრევებით. გორი და მის გარშემო სოფლები აღარ არის. მცხოვრებნი სრულიად შიშველნი, უბინაონი, სიცივეში არიან.

კონტრ-რევოლუციას ეწყობიან მტრები განუწყვეტლივ. მას საქართველოს რესპუბლიკა წარბ შეუხრელად ებრძვის მტკიცე იმედით, რომ ის გამოვა გამარჯვებული.

კონტრ-ნგრევას ეწყობს ბუნებაც, თითქოს მას სურს ხელით წაქციოს საქართველოს ხალხი მით, რომ წაქციოს აშენებული.

ჩვენ უნდა დავამტკიცოთ ქვეყანას უცვლელი ჭეშმარიტება, რომ დემოკრატია თავისუფალი საქართველოსი არ მოიხრის ქედს ბუნების მიერ მოვლენილ უბედურებათა წინაშეც კი...

დემოკრატიამ იცის, რომ გორი აღარ არის თავის მიდამოებით, მაგრამ აქვე გვესმის ძმური გუგუნიც—გადაუდებელ ყველამ დახმარება, დახმარება განუწყვეტელი და გორიც აღსდგება!..

მოხეტიალე რაჭველი.

კახეთმა უნდა დაეხმაროს სანოვაგით თავის მოძმე დაღუპულ ქართლს.

რასაც გასცემ შენია,
რაც არა, დაკარგულია.
შოთა.

ახლად განთავისუფლებულ საქართველოს თავს დაატყდა დიდი უბედურება და ისედაც მცირე რიცხოვან კულტურის მატარებელ ქალაქებს მოსწყვიტა და ნათქვამ ბუნების ულმობელმა სტიქიამ მიწის ძვრამ ქ. გორი და ქართლის ზოგიერთი სოფლები. დაღუპულთა რიცხვი მრავალია, ხოლოდ ვინც გადარჩა ქუჩაში არიან უბინაო მშიერ შიშველი და თხოულობენ მოძმეთაგან შველას. მერე ვინ უნდა დაეხმაროს ამ უბედურ ხალხს? რასაკვირველია, ყველა, ვინც ჩვენ რესპუბლიკის საზღვრებში ცხოვრობს და ვისაც გულის მაგივრათ ქვა არ უდევთ. მაგრამ კახეთმა განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიჭიროს ამ დახმარებაში ამისთვის, რომ კახეთი ჩვენი რესპუბლიკის თვალია,—თავის სიმდიდრით, ხილეულით და კაცთ-მოყვარეობით მას აქვს პური, სიმინდი და სხვა სანოვაგე და დარწმუნებული ვარ, რომ კახეთი სრულიად გაიზიარებს მოძმის გაჭირვებას და უხვათ დაეხმარება მას. მე მახსოვს კახეთის სოფლების სურათი სომხებთან ომის დროს, როგორი სიხარულით და ყიჟინით გროვდებოდა პური, სიმინდი, კარტოფილი, ლობიო და სხვა, ეგერ, ქართველი მანდილოსანი მათ შეინახავს ლიტრიანით ლობიოს და ბოლოში იბარის სიცოცხლეზე. აქ პატარა გოგონას მოუტანია ხაჭვის გულები და ამბობს: დედამ შემოგწირათო. მაშინ დახმარება ერთსულოვანი იყო და ყველა გრძნობდა, რომ ის იხდიდა წმინდა მოვალეობას სამშობლოს წინაშე. იმედია, რომ ახლა უფრო მეტი თანაგრძნობით შეხვდება კახეთი, რადგან ახლანდელი უბედურება გაცილებით დიდია მნიშვნელობით. მხოლოდ საჭიროა სოფლების ამოძრავება, მოწოდება, ამისთვის დამფუძნებელ კრების საპროდოვოლსტო კომისიამ უნდა აგზავნოს დამფუძნებელ კრების წევრები სოფლად, რომ გაუადვილონ ხალხს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, და ის დიდი უბედურება, რომელიც დაგვატყდა თავს და ხალხიც ამოგვიდგება გვერდში და გაჭირვებაც დაძლეული იქნება.

ხახო მაჭავარიანი.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭო

20 თებერვალს შესდგა თფილისში პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სხდომა. დაესწრო 23 კავშირიდან, თავმჯდომარეობდა გიორგაძე. დღის წესრიგში განსახილველად იდგა შემდეგი საკითხები: შრომის ბირჟის საპარიტეტო კომიტეტში წარმომადგენლების არჩევა, ზედმეტი მუშაობის შესახებ არჩევნებში და სახელმწიფო სატრანსპორტო საზოგადოების სახელოსნოებში, ეკონომიური საზოგადოების მოსამსახურეთა საწინდარის შეტანის

არც დარისპანი, არც აბესალომ ფოტოგრაფია არ არის, მაგრამ არც ტიპებია. რომელსაც თქვენ შეადარებთ აბესალომ სალამთაძესა და ტარიელ მკლავაძეს, მეორე პირველთან შედარებით გოლიათია, იმიტომ რომ ტარიელი ტიპია, ის ფოკუსია თავისი წრისა და წოდებისა.

ცხადია, კლდიაშვილი სინამდვილეს უფრო გრძნობს, ვიდრე საკუთარ ფანტაზიას.

იმიტომ რომ სინამდვილის მხატვრული განჭვრეტა, განცდა მასში გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ფანტაზია. საერთო დასკვნა ასეთია:

კლდიაშვილი იმერეთია მისი ნაზი, ლამაზი, ფერადებით სავსე და ცოცხალი, მზიანი ბუნებით.

კლდიაშვილი იმერელი ნიჭია, ოხუნჯი, ხალისიანი, სიტყვა მოსწრებული, ლაღი.

კლდიაშვილის ლაღობას თანა სდევს ნაზი სევდა, რადგანაც სევდის აღმძვრელია მისგან გადაშლილი სურათები.

კლდიაშვილს უყვარს ცხოვრების სინამდვილე და ის როგორც ხელოვანი იმერეთის ცხოვრებაში შინაურია.

იმერეთის ცხოვრების მხატვარი—აი. კლდიაშვილი.

მთელი მისი ნიჭის ხიბლიც ამ ცხოვრების აღწერაშია.

იმერეთის აზნაურობის ცხოვრებას კლდიაშვილი ზედმიწევნით იცნობს. ეს ცხოვრება არავის ისე რეალურად არ გადმოუცია, როგორც კლდიაშვილს.

კლდიაშვილი გადმოშლის თვალწინ სახაცილო და თან სევდის მომგვრელ ამბებს და გვიხატავს საუცხოვო სურათებს იმერეთის აზნაურობის ყოველდღიური ცხოვრებისა, მდგომარეობისა და სულისკვეთებისას.

კლდიაშვილი დიდი, ძლიერი რეალისტია, ცხოვრების სინამდვილეს ის ჰფლობს, გრძნობს, ყნოსავს, ითვისებს. მისი შემოქმედება ამ დარგში სრულიად თავისებურია, ბუნებრივი: გადამუშავებული, გადამეტებული მას არაფერი აქვს.

იმერელი აზნაური გარდამავალ ხანში—ანუ შემოდგომის აზნაური, მისი ცხოვრება, მისი სულისკვეთება—აი საგანი კლდიაშვილის შემოქმედებისა.

აქ ის მეტად თავისებურია, მეტად ძლიერი.

ყოველი მისი სიტყვა ცოცხალი სინამდვილეა და მის მოთხრობებს ჩვენ გადავყავართ შიგ ცხოვრების შუაგულში; ვხედავთ აქ პლატონს, ოტიას, სოლომონს, კირილეს, არისტოს, ეკვთიმეს, ბეკინოს, გვესმის მათი სიცილი, მათი მუსაიფი, ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს მათი ცხოვრება.

ეს არის დიდი ღირსება ავტორისა, ის მარტო სურათებს, სახეებს კი არ იძლევა, ის გვიძლევს თვითონ ცხოვრებას, მოძრავ ნამდვილ ცხოვრებას. სინამდვილე იმის შემოქმედებაში ცოცხლობს, მოძრაობს.

ის დასკვნა, რომელიც ლოღიკურად გამომდინარეობს კლდიაშვილის ნაწერებიდან, დღეს ახალს არას წარმოადგენს.

თავის დროზედ, ეს დასკვნა—ახალი ხანის, დემოკრატიული ხანის დაწყება ჩვენს ცხოვრებაში,—მეტად ახალი იყო და დიდ მნიშვნელოვანი.

კლდიაშვილმა ნაცნობი ცხოვრების სურათებით დაამტკიცა, რომ ქართველი ხალხი ცხოვრებას მიჰყავდა სრული გადემოკრატებისაკენ და ეს ძლიერი ტალღა იწყებოდა იმერეთიდან.

აი ამაში მდგომარეობს დავით კლდიაშვილის ნაწერების დიდი ისტორიული მნიშვნელობა.

ივ. გომართელი.

შესახებ, მეტყველება კავშირის შესახებ და მიმდინარე კითხვები.

პირველ კითხვაზე გამოირკვა, რომ გასული წლის წარმომადგენლები ძალიან გულცივად ეპყრობოდნენ შრომის ბირჟის საქმიანობას, რაც საგრძნობლად აფერხებდა მუშათა საქმის მოწესრიგებას, წელს კი მოხდა რეორგანიზაცია შრომის ბირჟისა; გაუქმდა ყველა კავშირების და კერძო შრომის ბიუროები. მთელი უმუშევართა საქმე და სამუშაოს გამოძებნა მხოლოდ მას ეკუთვნის, ამიტომ საბჭოს ახალმა წარმომადგენლებმა საპარიტეტო კომიტეტში უნდა გამოიჩინონ დიდი ენერგია და უნარი. არჩეულია: ს. ფანცხავა, დუნდუა, გერსამია, მელქაძე, თამაზაშვილი; კანდიდატები: ერემიევი, მაგრენზონი და რაზმაძე.

მეორე საკითხის შესახებ დაადგინეს: რადგანაც ზედმეტი მუშაობა არის გამოწვეული სხვადასხვა ობიექტიური პირობების გამო და ეს საკითხი პრინციპიალურად გადასწყვიტა საქართველოს პირველმა პროფესიონალურ კავშირთა ყრილობამ, ამიტომ საბჭო ადასტურებს მას და ცდება გაატაროს ცხოვრებაში ჩვენი დადგენილი წარმოების ფეხზე წამოსაყენებლად. მესამე კითხვის შესახებ გამოირკვა, რადგანაც სავაჭრო სამრეწველო კავშირის ზოგიერთ წევრებს ბიუროკრატა ეკონომიურ საზოგადოებაში აბარიათ საპასუხისმგებლო ადგილები, ამიტომ აუცილებელია მათ აღნიშნულ საზოგადოების ადმინისტრაციაში შეიტანონ შესაფერი საწინდარი. შემოვიდა განცხადებები: იაფ ფასიანი სადილები პუნქტების შესახებ, რაც გადაეცა სეკრეტარიატს დასამუშავებლად და შემდეგ საბჭოს მოსახსენებლად. აგრეთვე საბჭომ მიანდო სეკრეტარიატს მიიღოს ენერგიული ზომები საბჭოს ახალი არჩევნების მოსაწყობად.

მოისმინეს განცხადება გორის და მის ახლო სოფლებში მიწის ძვრისგან დაზარალების შესახებ; დაადგინეს ყოველ მხრივ დახმარება აღმოუჩინონ დაზარალებულ ქართლის მცხოვრებთ და მიანდოს სეკრეტარიატს ამ საქმის მოწესრიგება; უკვე გროვდება შემოწირულება. იმედია მთელი მშრომელი მასა ფეხზე დადგება, გამოიჩენს ქართლის გაჭირვებულ მოძმის სიყვარულს, დაეხმარება რითაც შეეძლიან.

ო. ლაცაბიძე.

მასწავლებელთა კავშირში

ჟურნალი „განათლება“.

უკვე იბეჭდება ჟურნალ „განათლება“-ს პირველი (იანვრის) ნომერი და გამოვა მარტის პირველ რიცხვებში სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს დადგენილების თანახმად. ჟურნალში იქნება (თებერვლის ნომრიდან) შემდეგი მთავარი განყოფილებანი: ოფიციალი განყოფილება, ფილოსოფია, პედაგოგიკა, ისტორია და სოციოლოგია, ბუნების-მეტყველება და მათემატიკა, პოლიტიკური ეკონომია, აგრონომია, ტექნიკა, კოოპერაცია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ქრონიკა, განცხადებანი და სხვა. თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ქართველ მეცნიერთა საუკეთესო ძალები. მზადდება დასაბეჭდად მეორე ნომერი. გამოცემა გაგრძელდება უწყვეტლივ მთელი წლით, ჟურნალი თავის შინაარსით დააკმაყოფილებს ყოველ საშუალო ინტელიგენტს. იმედია, რომ ყველა ქართველი ინტელიგენტი და განსაკუთრებით მასწავლებლობა გამოიწერს ამ ერთად ერთ ქართულ სამეცნიერო პოპულიარულ ჟურნალს და ხელს შეუწყობს მის ფართოდ გავრცელებას.

ჟურნალი ღირს ერთი წლით 300 მ., ნახ. წლით 150 მ., ცალკე ნომერი 35 მან. სახალხო მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ: ერთი წლით 250 მ., ნახ. წლით 125 მ., ცალკე ნომერი 25 მან.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

თფილისი, წერა-კითხვის საზოგადოება, ვ. ბუნიატიანის დიმგ. კრ. ქ. № 5.

ერობათა ცხოვრება

თფილისის სამაზრო ერობაში.

ერობის გამგეობამ დაადგინა სთხოვოს მომრიგებელ-მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეს—ეგზავნოს ერობას ასლები ყოველ თვიურ ანგარიშებისა უბნის მომრიგებელ მოსამართლეთა საქმიანობისა და მოღვაწეობაზე. სასურველია ანგარიშებში ხაზ გასმით აღნიშნებოდეს შემდეგი ცნობები: 1) რაოდენობა საქმიანობისა, რომლებიც მომრიგებელ მოსამართლეთა გაუთავებიათ მოდავეთა მორიგებით, რომ ცხადდეს რამდენით ხორციელდება თვით იდეა მომრიგებლობისა; 2) რაოდენობა იმ შემთხვევებისა, როცა მოდავეს პირდაპირ მიუმართნიათ მომრიგებელ-მოსამართლისათვის განცხადებით და ამრიგად ასცდენია „ადვოკატების“ დახმარების არხებას წერაში (ცნობები ოქმ-განცხადებების რაოდენობაზე) და 3) რამდენ სწრაფად სოფლად სასამართლო.

აღნიშნული მიმართვა ყრილობის თავმჯდომარისადმი გამოწვეულია მით, რომ ერობას, როგორც ამრჩეველს მომრიგებელ მოსამართლეთა, არა აქვს ცნობები მათ მოღვაწეობაზე, რაც საჭიროა სახელმძღვანელოდ მომავალ არჩევნებში.

— ერობამ გადასწყვიტა გააუქმოს ტრანსპორტის წარმოება და მოაწყოს ფერმა. ამიტომ იგი იძენს ერთ ვაგონ მარილს და ერთ ვაგონ ხორბლეულობას გადასაცვლელად ახალციხის დუხობორებში ძროხებსა და სამუშაო ცხენებზე.

— მიწად მოქმედების სამინისტროდან გადმოვიდა ერობაში და დაიწყებს თავის მოქმედებას ახლო მომავალში ეგრედ წოდებული სამეჯო, ანუ მიწის გამმიჯნავი განყოფილება.

— ცხოვრებაში გატარება მიწების აუცილებელ დამუშავების საკითხისა და საერთო ხელმძღვანელობა ამ საქმისა ერობის გამგეობამ დაავალა სადგილმამულო განყოფილებას, რომელიც უკვე შეუდგა სათანადო ზომებს.

— მაზრის ერობაში სისტემატიურად უჩივიან ერობის მოსამსახურენი თემებს, რომ უკანასკნელნი ერობიდან გამოგზავნილ ფულებს, მოსამსახურეთათვის ჯამაგირებში დასარიგებლად, აბრკოლებენ, დროზე არ არიგებენ და აბანდებენ სავაჭრო ოპერაციებში, რა ნიადაგზედაც თემებთან მოსამსახურეებს თურმე უსიამოვნება მოსდით. ამიტომ მაზრის ერობის გამგეობა ცირკულიარულად მიჰმართავს ყველა თემებს, რომ ერთხელ და უკანასკნელად მოაწესრიგონ მათ ჯამაგირების დროზე დარიგება ყოველნაირ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მომავალში.

— მარტყოფის რაიონის მილიციის უფროსად დაინიშნა ამა წ. 20 თებერვლიდან აბესალომ ქელდგანიძე.

— ქ. გორში მომხდარ უბედურებისა გამო მაზრის ერობა სასწრაფოდ აგზავნის დამხმარე სამედიცინო რაზმს და ატანს თან აუცილებელ შესაფერ მასალებს და სურსათ სანოვაგეს: ჩაის, შაქარს, ბრინჯს, ფქვილს, ლობიოს, კონსერვებს და თბილ საცვლებს.

გვარდიის ცხოვრებიდან.

23 თებერ. სად. 5 საათ. ნაძალადევის თეატრის შენობაში მოწვეული იყო აღნიშნულ რაიონის გვარდიელების საერთო კრება—დღის წესრიგში იყო სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2—შტაბის დამატებითი წევრების არჩევნები,—სამწუხაროდ, წევრების კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო კრება გადადებულ იქნა 25 თებერვლისათვის. გვარდიელები, როგორც მოწინავე მუშები, უნდა მეტს სიფხიზლეს, მეტს უნარს იჩენდნენ თავის ორგანიზაციისადმი.—ჩვენ საქმეს ჩვენ თვითონ უნდა მოვკიდოთ ხელი—ჩუმჩუმად—საიდუმლოთ ზურგს უკან ლაპარაკი, არაფერს მოგვიტანს. საჭირბოროტო კითხვები უნდა გავარჩიოთ კოლექტიურათ—საერთო კრებებზე. კრებაზე დამსწრე წევრთა შორის გამართულ ბაასმა ცხად ჰყო, რომ ბევრი კითხვები გვქონია გასარჩევ-გასაშუქებელი, მაგალითად ამხ. ჩოხონელიძეს და სხვებს მოჰყავდათ ფაქტები, რომ ჩვენი რკინ. გზის საავადმყოფოში ავადმყოფებს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ... ბინის საკითხი ძალიან გამწვავებულია,—რაც მუშების ოჯახობას სიცოცხლეს უმწარებს—უმოკლებს—ამბობენ მწუხარებით გვარდიელები... მაგრამ, მუშათა კლასის ცხოვრების გასაუმჯობესებლად საჭიროა ორგანიზაციული მუშაობა,—საჭიროა საკუთარი ინიციატივის გამოჩენა, იმის ყურება—რომ ვიღაც მოვა და ყველაფერს გააკეთებსო, ზარალის მეტს არას მოგვიტანს.

ბოლოს დამსწრე გვარდიელებმა რიცხვით 120 კაცმა, გამოსთქვეს სურვილი, შეტანილ იქნეს საჩქაროთ განცხადება რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების ცენტრალურ გამგეობაში, რომ გვარდიელებს გამოერიცხოთ ჯამაგირიდან ერთი დღის ქირა, ზოგნი ორი დღისას მოითხოვდნენ, მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

X.

კულტ. მუშაობა ჯარში და გვარდიაში

თფილისი. 20 თებერვალს სამხედრო სკოლის იუნკრების ინიციატივით გამართულ იქნა ნაცვალთა მცირე გუნდის ჯარის კაცთათვის წარმოდგენა: „მოტყუებულნი“, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე მხედრებზე. წარმოდგენის წინ შესრულებულ იქნა ეროვნული ჰიმნი. წარმოდგენის შემდეგ სკოლის მომღერალთა გუნდმა სიუცხოვით იმღერა ქართული სხვადასხვა სიმღერები. სიმღერების შემდეგ გაიმართა ცეკვა. დამსწრენი დიდი ნასიამოვნები დარჩნენ.

15 თებერვალს სახელმწიფო თეატრში სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელ სექციის ინიციატივით დაიდგა ოპერა: „ქეთო და კოტე“, დასაწყისში ოპერას შესაფერისი განმარტება უძღვნა სახელმწიფო თეატრის კომისარმა ამ. წუწუნავამ. ოპერას დაესწრო ქ. თფილისში მდგომი ყველა ნაწილები. მე 5 და მე 7 ათასეულები საარტილერიო დივიზიონი ნაცვალთა სკოლის ჯარის კაცნი, სამხედრო სამინისტროს უშუალო გუნდი, რადიო ტელეგრაფის და საავტომობილო გუნდები, საავიაციო და სანაპირო რაზმები და სხ.

ა. გ—ძე.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 19 თებერვალს, მიქრის ბინაზე, შესდგა განახლებული მეოთხე რაიონის კოლექტივის პირველი სხდომა. სხდომას დაესწრნენ ძველი კოლექტივის ზოგიერთი წევრნიც. სხდომას ხსნის ამხ. გ. მაჭავარიანი და მოახსენებს კრებას დღის წესრიგს, პირველი კითხვა პრეზიდიუმის არჩევნებია. არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი: თავმჯდომარეთ ს. ვადაჭკორია, თავმჯდ. ამხანაგი გ. მაჭავარიანი და ხაზინადრათ გ. უსენიაშვილი. თავმჯდომარეობის ადგილს იჭერს ამხ. ს. ვადაჭკორია და სხდომა იხილავს შემდეგ კითხვებს: 1) რეგლამენტის დამტკიცება; 2) წარმომადგენლების მოწვევა დარჩენილ უბნებიდან; 3) სარევიზიო კომისიის განცხადება; 4) ამხ. ე. სირბილაძის განცხადება; 5) ამხ. ეფ. ომანაძის განცხადება დღის წესრიგის განხილვამდე, სხდომა ისმენს ამხ. თ. ნიკოლაიშვილის რიგს გარეშე განცხადებას, მესამე უბნის მცირე კოლექტივის ბიუროს და საერთოდ ამ უბანში პარტიული მუშაობის წარმოების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, სხდომა ადგენს არჩეულ იქნას სამი კაცი, რომელთაც დაევალოს მიიღოს საჭირო ზომები ამ უბანში პარტიული მუშაობის გასაძლიერებლად და მცირე კოლექტივის აღსადგენათ არჩეულ იქნენ: თ. ნიკოლაიშვილი, გ. მაჭავარიანი და ირ. რამიშვილი. სხდომა იწყებს დღის წესრიგის განხილვას. პირველი კითხვის შესახებ სხდომა იღებს მდივნის მიერ გამომუშავებულ შემდეგ რეგლამენტს: 1) კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა იმართება კვირაში ორჯერ, კვირაობით, ხუთშაბათობით, სად. სრულ 6 ს. შენიშვნა: თუ 6 საათზე სხდომა არ გაიხსნა, კოლექტივის წევრები ათი წუთის ცდის შემდეგ იშლებიან. 2) სხდომა კანონიერათ ითვლება, თუ მას დაესწრო ჩვეულებრივათ წევრთა უმრავლესობა ე. ი. 6 კაცი; 3) თუ რომელიმე კოლექტივის წევრი საპატიო მიზეზს გარეშე ორ სხდომას ზედი ზედ არ დაესწრო, მესამე სხდომიდან გამორიცხულად ითვლება კოლექტ. წევრობიდან და მის მაგიერ მოწვეულ იქნება მორიგი კანდიდატი; 4) თვითეულ სხდომის არ დასწრების, კოლექტივის წევრი მოვალეა მორიგ სხდომაზე მოახსენოს კოლექტივს თუ რა იყო მიზეზი წინა სხდომაზე არ დასწრებისა; 5) ამა თუ იმ კითხვის განხილვაზე, ორატორი პირველად ლაპარაკობს 10 წუთს, ხოლო მეორეთ 5 წუთს. მესამე კითხვის შესახებ კომისიის სახელით ამხ. ირ. რამიშვილი ეკითხება სხვა დროს გამორკვეულ იქნას თუ რა შედის სარევიზიო კომისიის კომპეტენციაში. სარევიზიო კომისიის უფლებებზე ლაპარაკობენ რამდენიმე ორატორები, საკითხის საკმაოთ გაშუქების შემდეგ მომხსენებელი კმაყოფილი რჩება და სხდომა გადადის მორიგ საკითხზე. მეოთხე კითხვის შესახებ ამხ. ე. სირბილაძე აცხადებს, რომ იმისათვის რომ ვიცოდეთ თუ ვინ არის ჩვენი პარტიის წევრი, საჭიროა სხდომაზე განხილულ იქნას პარტიის წევრთა სია. სხდომა ადგენს მომავალ სხდომაზე განხილულ იქნას ეს კითხვა.

მეორე კითხვის შესახებ სხდომა ადგენს მიეცეს უფლება ყველა იმ უბნებს, რომელთა წარმომადგენელნი არ მოხვდნენ კოლექტივში სათათბირო ხმით გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელი. ასეთი უბნებია საბურთალო, მესამე უბანი, „ადმირძინება“ და ბოზარჯიანცის ქარხ. ბოზარჯიანცის ქარხანაში პირველი წარმოება ევალება ამხ. ნ. კიკნაძეს და გ. უჩანაშვილს. მეხუთე კითხვის შესახებ ამხ. ეფ. ომანაძე მოახსენებს კრებას ფ. ტ. მოსამსახურეთა შორის პარტიულ მუშაობის შესახებ და აწვდის სხვა ცნობებს. სხდომა იღებს მას მხედველობაში. დასასრულ ამხ. გ. მაჭავარიანს შეაქვს წინადადება, რომ ს განცხადებები, რომელიც კოლექტივში შედის იყოს წერილობით, რომ მუშაობას ხელი არ შეუშალოს. წინადადების განხილვის შემდეგ, ადგენს: სასურველია განცხადებები შედიოდეს წერილობით, ხოლო სადაც მოუხერხებელი იქნება იმ შემთხვევაში პრეზიდიუმი, განცხადებას დღის წესრიგში შეიტანს, რის შემდეგ სხდომა იხურება.

X.

მუშათა შორის

თფილისის საქონლის სადგური. 18 იანვარს შესდგა თფილისის საქონლის სადგურის მუშების და მოსამსახურეების შეერთებული კრება. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. სიმონ ასამაძე. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ადგილობრივი კავშირის გამგეობისა, 2) ტანისამოსის შესახებ, 3) სადგურის მუშების სასადილო კოოპერატივი „შეღავათის“ შესახებ, 4) სამკითხველოს შესახებ. პირველის და მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ადგილობრივი კავშირის თავმჯდომარე ამხ. დიმიტრი ღლონტი, რომელმაც გააცნო კრებას დღევანდელი მდგომარეობა და მოუწოდა ყველას შეკავშირებისაკენ, რომ ფხიზელ დარაჯათ იყვნენ და თვალყური ადევნონ ირგვლივ მომხდარ ამბებს.

იყო შეკითხვები რომელზედაც მოხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. შემდეგ მოხსენებას აკეთებს ადგილობრივი კავშირების მდივანი ლავრენტი წითლიძე. მან მოკლეთ გააცნო კრებას, თუ რა პირობებში უნდა მოხდეს კავშირში მუშების შეკავშირება. მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა: ვიღებთ რა მხედველობაში ყოველი მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეს, ჩვენ აუცილებლათ ვსცნობთ მუშების პროფესიონალურათ დარაზმვას, რომ სისხლით მოპოებული თავისუფლება უზრუნველ ყოფილი იქნეს. შემდეგ კოოპერატივი „შეღავათის“ გამგე გიორგი ღლონტმა და სარევიზიო კომისიის წევრმა ამხ. პ. ინწკირველმა გააკეთეს მოხსენება იმის შესახებ, თუ რა [illegible] კოოპერატივს 1919 წლიდან 1920 წლის 18 იანვრამდე, რომლიდანაც კრება სრული კმაყოფილი დარჩა მოხსენებით, და მადლობა გამოუცხადა, როგორც კოოპერატივს ყოფილ გამგეს ღლონტს, აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრს ამხ. პროკოფი ინწკირველს. ტანისამოსის შესახებ კრებამ მიიღო მხედველობაში ის, რომ, რადგანაც მუშებს და მოსამსახურეებს არ მოეპოვებათ არავითარი ტანსაცმელი და არც აქვთ საშუალება შეიძინონ თუნდაც ერთი პერანგი, რადგანაც ერთი პერანგი 400 მანეთამდის ფასობს ბაზარზედ... დასასრულ მოხდა მთავრობის თავმჯდომარესთან გასაგზავნი კომისიის არჩევნები. კომისიაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: 1) კაპიტონ ღლონტი, 2) არსენ მახარაძე, 3) ვასო ელიავაშვილი.

ქრისტინეშვილი.

„ნემსის პროლეტარები“ კვირას, 22 თებერვალს, შრომის ბირჟაში შესდგა საზოგადო კრება პროფესიონალურ კავშირის „ნემსის პროლეტარები“-სა.

კრება მეორეთ იყო მოწვეული და ამიტომ მიუხედავათ წევრების სიმცირისა, კრება კანონიერათ იქნა აღიარებული. დიდის ხმის უმრავლესობით თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. მელქაძე დღის წესრიგი იყო: 1) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) გამგეობის მოხსენება 3) კოლექტიური ხელშეკრულობის გადათვალიერება და დამტკიცება საზოგადო კრების მიერ, 4) გადიდება პროცენტების გადასახადისა, 5) გორის დაზარალებულთა დახმარება, რევიზიის შესახებ. მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის წევრი ამხ. ცხვედაძე, რომელმაც თავის მცირე მოხსენებას დაუმატა, რომ რევიზია არ შეიძლება ჩაითვალოს სრულ დამთავრებულათ, რადგან არის ზოგიერთი დეფექტები, რომლის სრული გამოკვლევა, ვერ მოასწრეს მხოლოდ შემდეგ კრებისთვის ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებთო, სარევიზიო კომისიის მოხსენება კრებამ მიიღო მხედველობაში და უსურვებს შემდეგშიაც ნაყოფიერ მუშაობას.

გამგეობის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. მელქაძე. სხვათა შორის მომხსენებელი შეეხო თუ როგორი აუცილებელია მუშათა დარაზმვა ერთ დროშის ქვეშ და კულტურულათ ამაღლება, შემდეგ ამხ. თავმჯდომარე კითხულობს კოლექტიურ ხელშეკრულების ტექსტს, 46 მუხლისაგან შედგენილს, რომელიც კრების მოთხოვნით მუხლობრივ იქნა განხილული და დამტკიცებული საზოგადო კრების მიერ უცვლელათ, მხოლოდ დამატებული იქნა მედიცინური დახმარება, რომლის გამომუშავება დაევალა გამგეობას.

პროცენტების გადასახადის გადიდების შესახებ მიღებულ იქნა გადიდდეს ნახევარი პროცენტით. უარყოფილი იქნა გამგეობის წინადადება, რომ ერთი პროცენტით გადიდებულიყო საპროცენტო გადასახადი.

დასასრულ ამხ. თავმჯდომარე მოუწოდებს საზოგადოებას, ვისაც რით შეეძლება დაეხმაროთ მიწის ძვრისაგან დაზარალებულ გორის საზოგადოებას. კრებამ ერთხმათ დაადგინა შეკრიბოს წევრებს შორის ერთი დღის ხელფასი, რომლის სისრულეში მოსაყვანათ არჩეულ იქნა 9 კაცისაგან შემდგარი კომისია, დედანაშვილი, სვანიძე, ასტვაცატუროვი, მაღრაძე, ოქრუაშვილი, კობახიძე, მირზოიანი, დრაბოვიჩი და ატანესოვი.

რ. ხალუქაძე.

პროვინცია

სოფ. კარდენახი. ძალიან იშვიათი შემთხვევაა, რომ ამ სოფელზე რამე ითქვას და დაიწეროს, თუმცა ინტელიგენტი ძალზეც საკმარისად მოიძებნება, მაგრამ ყველას კერძო და პირადი ინტერესები უფრო აინტერესებს, ვიდრე საზოგადოებრივი საქმიანობა, რითაც უნდა აიხსნას მათი გაჩუმება და დაუდევრობა, მაგრამ არც ეს არის სრული მიზეზი! მათ შორის უფრო ოპოზიციური ხასიათ შექმნილი პოლიტიკურ ნიადაგზე, რაც ეს უფრო უნდა ჩაითვალოს მათ გაჩუმების და დაუდევრობის მთავარ მიზეზათ.

ამ სოფელში ბევრი ისეთი საყურადღებო ამბები ხდება, რომელიც ინტერესს მოკლებული არ არის საზოგადოებისთვის, მაგრამ, როგორც ზევითა ვსთქვით, არავინ ხმას ამომღები არ არის, რადგანაც ყველა თავის ტყავსა და სამსახურს უფრთხილდება.

არავითარ საკულტურო საქმიანობას აქ ვერ ვხედავთ. სოფლის გზები ისე დაფუჭებულია, რომ ავდრიან დღეში ადამიანს არ გაევლება. სასწავლებლები ანტისანიტარულ მდგომარეობაშია და შეუკეთებელი. წიგნთ-საცავ-სამკითხველო დიდიხანია რაც ფაქტიურათ არსებობს, ღვთისანაბარათ არის მიგდებული და არავინ სარგებლობს. ჟურნალ-გაზეთები აქ სანთლით საძებარია, გარდა იმ ერთ ორ გაზეთისა, რომელიც თემის კანცელარიას მოსდის. კოოპერატივიც მომაკვდავებულის პირზედა სდგას და ადრე თუ გვიან სულს დალევს. ასე თუ ისე სოფელი უპატრონობის შთაბეჭდილებას ახდენს.

აქ სიძვირე დიდია და არც სანოვაგე იშოვნება. ყველას თავისთვის აქვს შემონახული და არც ფულზე და არც უფულოთ არავის აძლევენ, საქონელს საქონელში სცვლიან.

ამ ბოლო დროს აქ დიდი თოვლია. 10 თებერვალს ს. ხიმშიაშვილმა მოკვლის განზრახვით თოფით მძიმეთ დაჭრა თავისი ცოლი. ცოლის მოკვლა აქ მეორე შემთხვევაა, მაგრამ არც პირველი და არც მეორე ჯერ-ჯერობით არ დასჯილა.

აქაური.

განცხადებანი

საჩქაროდ
იყიდება
50 ცალი „პარტა“ მისამართი: მიხეილის (პლეხანოვის) ქ. 25 (შესავალი ალექსის ქ. № 5) მოჩიძის ბინა 9—12 ს. 4—7 ს.
(662—5—1)

გამოცდილნი მასწავლებელნი
ამზადებენ
მოწაფეებს ყველა სასწავლებლისათვის და მოწმობაზე.
არსდება 4, 5, 6, 7
კლასების ჯგუფები; ჩაწერა 9—1 ს., 4—7 ს. მიხეილის პრ. 25 (შესავალი ალექსის ქუჩ. 5)
(662—5—1)

ექიმი
დიმ. კოსტ. მე ერისთავი
(ოზურგეთიდან)
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52.
(თ. 581)

დოქტორი მედიცინისა, ყოფ. ასისტენტი ბერლინის და [illegible] უნივერსიტეტების კლინიკებისა
ბ. ბ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, შლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-სამკურნალობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. შლექების ოპერაცია პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილ. 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. [illegible]თელის ქ. № 22, ტელეფ. 7—92. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს [illegible]მობს უფასოთ.
(თ 616)

ექიმი ლ. გ. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 2 ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი
პ. ბ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და 91 შეშხაპუნება). მიღება: დილით 8 საათ. საღ 5—7 საათ. სურამის ქ. № ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზ სამმართველოს პირდაპირ. (თ. 5

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. გასინჯვა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების, [illegible] და ნერვიულ სისტემის. რენტგენა და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № ბინა 3.
(471)

ექიმი
გ. ი. მირიანაშვილ
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5- საათამდე, გარდა კვირისა. ანდრონიკაშვილის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის თეატრის ახლო.
(24

ექიმი დ. ნ. ჯაჯანაშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროს № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60.
(თ.—266

ოზურგეთში
ექიმი აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სნეულებით, ფილტვების, გულის, კუჭის და [illegible], შლექის აქიმობა „ტუბერკულინი“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. სიმაშვილის სახლში.
(კუპ. 6

კერძო სამკურნალო
ქ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 1
ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-თეატრ „აპოლოს“ გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები.
(თ. 218)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იმნაიშვილის ქუჩა № 11. [illegible] ქუჩიდან პირველი შესახვევი.
(თ. 332

ექიმი ნ. ტ. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი დეგები (შეშხაპუნება „606“ და „91 ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 8—11 საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა № 22

საუკეთესო წიგნების გამომცემლობა
„ნორჩი საქართველო“
გამომცემლობის მისამართი დავითის ქ. № 2 ბინა ნაკაშიძეს
გამოვიდა და იყიდება

1) ჩიტ ბელურა, ს. ძამისტარიშვილისა, 6 მან.
2) ორი ობოლი, ირ. ევდოშვილისა, 7 მან.

წიგნი დასურათებულია ფერადი სურათებით.

იბეჭდება და გამოვა თებერვალში

1) გ. ნათაძის წიგნი „პირველ ყოფილი კულტურა 25 მან.
2) ანდერსენის ზღაპრები. თარგმანი ილ. ნაკაშიძისა.

იბეჭდება და მალე გამოვა:

1) ლეო ქიაჩელის საყმაწვილო მოთხრობა „ნატვრის თვალი“.
2) კირილე ნინიძის წიგნი სამართ მეცნიერება.
3) ცქვიტის მოთხრობები,
5) ალ. მირიანაშვილის იგავ-არაკნი,
6) ევალდის მოთხრობები,
7) ალ. მიქაბერიძის მითოლოგია.
8) იოსებ ყიფშიძის მეგრული ზღაპრ

გამომცემლობის წიგნების საწყობი: თფილისი, ალ. არაბიძე თან. დამფუძნებელი კრების ქუჩა № 6. (ნ. 1—